English is used all around the world by professionals and academics in international encounters; it is often the official language of international and multinational companies and industries; it is the language of the Internet. English is primarily used as international language, especially in the business, scientific, legal, political and academic communities.

As global communication expands throughout the world, so does the need for a global language – a language that is recognized and understood by people everywhere. Such kind of language has been established and it is English. English has acquired the status of a Global language both from the geographical and social-cultural points of view. By Global English is meant the variety of English used

by two speakers non-native by birth. Almost all the population on our planet uses this language for different purposes.

A good command of English, being an international, the world’s most widespread language, is now generally recognized as an indispensable part of many professions. It is not only reliable basis for better communication, it is also the source of technological progress as it enables rapid exchange of information and research of common global problems. English functions as an international communication tool.

English is one of the most important languages in the process of intercultural communication. Intercultural communication is the exchange of cultural information between two groups of people with significantly different cultures [Gudykunst 2003: 260]. According to Ting-Toomey (1999: 16-17), intercultural communication is viewed as “the symbolic exchange process whereby individuals from two (or more) different cultural communities negotiate shared meanings in an interactive situation”.

In the process of intercultural communication people use verbal and nonverbal messages to get their ideas across to each other. In connection with this we can say that intercultural communication is the verbal and nonverbal interaction between people from different cultural backgrounds.

Teaching English shouldn’t be reduced to the direct teaching of linguistic skills like phonology, morphology, vocabulary, and syntax. A good command of English requires some knowledge about the culture of this language. The knowledge of culture is as important as proficiency in using a foreign language. Language and culture are intricately interwoven with each other. As Agar (1994: 28) points out “Culture is in language, and language is loaded with culture.”

Successful intercultural communication means much more than language skills, since understanding a foreign language does not ensure understanding the speaker’s intentions. It is also a comprehension of cultural habits and traditions. Moreover, intercultural understanding is one of the basic goals of

language education. Culture and communication are indeed inseparable, they work in tandem [Samovar & Porter 2003: 7] and “all communication, whether verbal or non-verbal, occurs within cultural frameworks” [Johnson 2003: 194].

What does the notion of "culture" mean? According to Sapir, “Culture may be defined as what a society does and thinks. Language is a particular how of thought.” (2014: 233) Culture is a significant selection made by society. Language is a particular manner in which society expresses all experience.

Duranti describes culture as “something learned, transmitted, passed down from one generation to the next, through human actions, often in the form of face-to-face interaction, and, of course, through linguistic communication.” (1997: 24)

The purpose of integrating culture into language teaching is primarily to develop learners' intercultural communicative competence. Intercultural communication competence is defined as the degree to which you effectively adapt your verbal and non-verbal messages to the appropriate cultural context. [Neuliep 2014: 456] When communicating with someone from a different culture, you have to adjust and modify the kinds of verbal and nonverbal messages you send. This process requires you to have some knowledge about the person whom you are communicating with. Knowledge, the core of intercultural competence, is referred to “our awareness or understanding of requisite information and actions to be interculturally competent” [Gudykunst 2003: 195]. The 'requisite information' should entail the target cultural knowledge and source cultural knowledge (one's native culture) as well.

Conclusion

To sum up, it is necessary to mention that though the effective communication is of vital importance, the need for it has never been as much emphasized as it is today in our globalized world. Successful intercultural communication between individuals, not speaking the same mother tongue, requires the use

of a language spoken and comprehended by both parties, i.e. ‘lingua Franca’. This might be achieved through using English - the language which fulfils the role of the common medium and thus is most widely used in such situations. Coming from the above said, we can state, that English is one of the most important languages in the process of intercultural communication.

Literature

1. Agar M. (1994): *Language shock: understanding the culture of conversation*. New York: William Morrow and Co
2. Bamgbose O. & Olomola O. (2014): “Clinical Legal Education and Cultural Relativism- The Realities in The 21st Century. *International Journal Of Clinical Legal Education*, Issue 20 volume 11
3. Crystal D. (1997): *English as a global language*. Cambridge. UK: Cambridge University Press
4. Drezner D. W. (2001): *Globalization and Policy Convergence*. *International Studies Reviews* 3.1
5. Duranti A. (1997): *Linguistic anthropology*. Cambridge: Cambridge University Press
6. Gudykunst W.B. (2003): *Cross-Cultural and Intercultural Communication*. 1st edition. USA: SAGE Publications. Inc.
7. Globalization 101. (n.d.). What is globalization? Retrieved November 1, 2017, from <http://www.globalization101.org/what-is-globalization/>
8. Graddol D. (1997, 2007): *The Future of English& A Guide to Forecasting the Popularity of the English Language in the 21-st Century*. British Council. UK. London: The English Company Ltd.
9. Johnson F. L. (2003): *Cultural Dimensions of Discourse*. In Samovar, L. A., Porter, R. E. (eds.) *Intercultural Communication* (10th Edition). Belmont, CA, USA: Wadsworth/Thomson Learning
10. Neuliep J.W. (2014): *Intercultural Communication: A Contextual Approach*. 6th edition. USA: SAGE Publications. Inc.

11. Phillipson R. (2003): English-only Europe & Challenging language policy. London: Routledge
12. Samovar L. A., Porter R. E. (2003): Understanding Intercultural Communication: An Introduction and Overview. In Samovar, L. A., Porter, R. E. (eds.) Intercultural Communication (10th Edition). Belmont, CA: Wadsworth/Thomson Learning
13. Sapir E. (2014): Language: An Introduction to the Study of Speech. Reissue edition of 1921. USA: Cambridge University Press
14. Schwegler A. (2006): Language and Globalization. Retrieved November 2, 2017, from <http://www.globalization101.org/uploads/File/Syllabus-Lang-Globalization.pdf>
15. Steger M. B. (2009): Globalization: A Very Short Introduction. 2-nd edition. New York: Oxford University Press
16. Matthews P. (2005): The Concise Oxford Dictionary of Linguistics. UK: Oxford University Press
17. Ting-Toomey S. (1999): Communicating Across Cultures. USA: The Guilford Press

Роль английского языка в межкультурной коммуникации

Зораян Марина Георгиевна
 Грузинский технический университет
 Департамент иностранных языков
 Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
 Тел.: 593 783 826
 E-mail: marinaziger@gmail.com

Резюме

В статье рассматривается роль английского языка в межкультурной коммуникации. Сегодня английский, несомненно, может быть признан незаменимым языком для межкультурного общения. Межкультурная коммуникация - это обмен культурной информацией между группами людей с существенно разными культурами. Преподавание английского языка не должно сводиться

к прямому преподаванию лингвистических навыков. Хорошее знание английского языка требует некоторых знаний о культуре носителей этого языка. Цель интеграции культуры в преподавании языка, в первую очередь, заключается в развитии межкультурной коммуникативной компетентности учащихся. Успешное межкультурное общение между людьми, не говорящими на одном и том же родном языке, требует использования языка, на котором говорят и который понимают обе стороны, то есть «лингва франка» («lingua Franca»). Это может быть достигнуто за счет использования английского языка, выполняющего роль общего средства и, таким образом, наиболее широко используемого в таких ситуациях.

Ключевые слова:

глобализация, глобальный английский язык, лингва франка, межкультурная коммуникация, культура, культурная идентичность, межкультурная коммуникативная компетентность.

ინგლისური ენის როლი ინტერკულტურულ კომუნიკაციაში

მარინა ზორანიანი
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 უცხოური ენების დეპარტამენტი
 კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,
 საქართველო
 ტელ.: 593 783 826
 E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

სტატია იხილავს ინგლისური ენის როლს ინტერკულტურულ კომუნიკაციაში. დღესდღეობით ინგლისური ენა ეჭვგარეშე შეიძლება ვადიაროთ ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის აუცილებელ ენად. ინტერკულტურული კომუნიკაცია არის კულტურული კომუნიკაციის გაცვლა ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომელთა კულტურათა

შორის საგრძნობი სხვაობა არსებობს. ინგლისური ენის სწავლება ვერ იქნება დაყვანილი მხოლოდ ლინგვისტური უნარჩვევების ფორმირებამდე. ინგლისური ენის კარგად ფლობა მოითხოვს ამ ენის მატარებლების კულტურის გარკვეულ დონეზე ცოდნას. ენის სწავლებაში კულტურის ინტეგრაციის მიზანი, პირველ რიგში, არის ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება. წარმატებული ინტერკულტურული კომუნიკაცია, რომ არაფერი ვთქვათ ერთი და იგივე დედაენის გაზიარების შემთხვევაზე, მოითხოვს ისეთი სალაპარაკო ენის გამოყენებას, რომელსაც ფლობს ორივე მოსაუ-

ბრე ანუ ლინგვა ფრანკას ('lingua Franca'). ეს შეიძლება იქნას მიღწეული ინგლისური ენის გამოყენებით – ენის, რომლის როლიც არის კომუნიკაციისთვის საერთო გარემოს შექმნა. ამიტომ, ინგლისური ყველაზე ხშირად გამოყენებული ენაა ასეთ სიტუაციაში.

საკვანძო სიტყვები:

გლობალიზაცია, გლობალური ინგლისური ენა, ლინგვა ფრანკა, ინტერკულტურული კომუნიკაცია, კულტურა, კულტურული იდენტურობა, ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია.

ფერის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ ენაში

ნატალია სურგულაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი
ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,
საქართველო
E-mail: natalia.surguladze@bsu.edu.ge

რეზიუმე

ფრაზეოლოგიზმები დამახასიათებელია ყველა ენისათვის, განვითარების რა დონეზეც უნდა იმყოფებოდნენ ისინი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ფრაზეოლოგია ენობრივი სისტემის განუყოფელ და ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

ხატოვანი გამონათქვამების, იდიომების და ფრაზეოლოგიზმების ჯგუფში შემავალი ერთეულების უმრავლესობაში ნათლად გამოხატული ენის ეროვნული თვითმყოფადობა, ისინი ახდენენ ამა თუ იმ ხალხის კულტურისა და ფსიქოლოგიის მთელი რთული კომპლექსის, მისი ხატოვანი აზროვნების განუმეორებელი ხერხების კონდენსირებას.

ნაშრომში გამოკვლეულია ფერებით შედგენილი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ ენაში, ნაჩვენებია ფერების უდიდესი ზეგავლენა ჩვენ ცხოვრებაზე, განწყობაზე, ემოციებზე, საგნების არჩევანზე და ა.შ.

ფერთა აღქმა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აისახება და განსხვავებულ მნიშვნელობებს იძენს.

საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგიზმები, ფერი, ლინგვოკულტურული, ნომინაცია, ეთნოფსიქოლოგია.

შესავალი

ენის ფრაზეოლოგიური სისტემის გამოყოფა მჭიდროდაა დაკავშირებული ფრაზეოლოგიის, როგორც ლინგვისტური დისციპლინის განვითარებასთან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ამგვარი გამოყოფის მოწინააღმდეგე მკვლევრები ფრაზეოლოგიურ შედგენილობას განიხილავენ როგორც ლექსიკური შედგენილობის ნაწილს, ხოლო ფრაზეოლოგიას – როგორც ლექსიკოლოგიის ნაწილს. ფრაზეოლოგიის, როგორც ენის შესახებ მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის პოზიციების გამყარებასთან ერთად ასეთ მეცნიერთა რიცხვი სულ უფრო კლებულობს. ფრაზეოლოგიის დამოუკიდებელ განვითარებას მხარს უჭერდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ე.დ. პოლივანოვი, აკად. ვ.ვ. ვინოგრადოვი, ბ.ა. ლარინი. სწორედ მათი ძალისხმევით, აგრეთვე ათასობით სხვა მკვლევრის ხელშეწყობით, დაიბადა ახალი ფრაზეოლოგიური მეცნიერება.

უნდა აღინიშნოს ფართოდ გავრცელება თვით ტერმინისა „ფრაზეოლოგიური სისტემა“, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ლინგვისტიკაში. ეს ფაქტი აგრეთვე მეტყველებს ფრაზეოლოგიის სისტემურობისა და მის ცალკე სისტემად აღიარების სასარგებლოდ, ვინაიდან ყოველგვარი ტერმინოლოგია ამა თუ იმ ხარისხით ასახავს თავის სემანტიკაში მეცნიერული აზროვნების გარკვეულ სტადიას.

ფრაზეოლოგიის სისტემურობა სხვადასხვაგვარად ვლინდება. იგი გულისხმობს როგორც ფრაზეოლოგიზმების შიდასისტემურ კავშირებს (სისტემური მიმართებანი ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ფრაზეოლოგიზმების კომპონენტებს შორის), ისე

მათ სისტემათშორის კავშირებს (სისტემური ურთიერთობები ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ენის სხვა მიკროსისტემების ერთეულებს შორის). ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე სისტემურად განპირობებულ კავშირს ფრაზეოლოგიის განვითარებასა და ენის განვითარებას შორის, ანუ ფრაზეოლოგიურ სისტემასა და ენის ზოგად სისტემას შორის [Назарян 1987: 27-28].

ძირითადი ნაწილი

ფრანგულ და ქართულ ლექსიკაში თქმათა ძალზე მდიდარი ასორტიმენტია წარმოდგენილი. ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფე) წარმოქმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსტრალინგვისტური ფაქტორები და, პირველ რიგში, მოსაუბრეთა მოთხოვნილება აზრის გადმოცემის ხატოვან-ექსპრესიულ საშუალებებზე. ფრაზეოლოგიური სისტემის განვითარებისა და გამდიდრების ტემპები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია მოთხოვნილება ამ საშუალებებზე მოცემულ ისტორიულ პერიოდში.

ამა თუ იმ ენაში იდიომები წარმოადგენენ განსაკუთრებულ გამონათქვამებს, რომელთა ლიტერატურული ეკვივალენტი შესაძლებელია არ მოიძებნოს სხვა ენაში. ხშირად ისინი დაფუძნებულია შედარებაზე ან მეტაფორაზე, ისინი ხატოვნად გამოსატყვენ გრძნობებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებულ ქმედებებს. ფრანგების უმრავლესობა მათ ყოველდღიურ მეტყველებაში აქტიურად იყენებს.

ფერები უდიდეს ზეგავლენას ახდენს ჩვენ ცხოვრებაზე, განწყობაზე, ემოციებზე, საგნების არჩევანზე და ა.შ. მათ საკვირველ ძალას ჩვენს გარშემო ყველგან და ყველაფერში ვხედავთ. ფერი შეიძლება იყოს მიმზიდველი და გამაღიზიანებელი, დამამშვიდებელი და აღმაშფოთებელი, მაცდუნებელი და აღმგზნებელი.

ენათმეცნიერები და ეტიმოლოგები ათო-

ბით ენების შესწავლის საფუძველზე მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ფერების სისტემაში არსებობს მთელი რიგი უნივერსალური ნიშნები, რომლებიც სხვადასხვაგვარად აისახება ამა თუ იმ ხალხთა მეტყველებაში, ხატოვან გამონათქვამებში, იდიომებსა და ანდაზებში, რომლებიც კონკრეტული ეროვნული ხასიათის სოციალურ-ისტორიული, ინტელექტუალური და ემოციური ინფორმაციის აკუმულირებას ახდენენ.

ნაშრომში შევეცადე გამომეკვლია, თუ რა ასოციაციებს იწვევს ფრანგული ენის ფრაზეოლოგიაში ფერთა გამა და როგორი კონოტაციებითაა გამოხატული ისინი, ამასთან რა ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები ახასიათებთ მათ.

ნომინაციური ფრაზეოლოგიზმების კვლევისას აღმოჩნდა, რომ მათ გააჩნიათ ფართო სემანტიკური მოცულობა – ისინი აღნიშნავენ საგნებს, მოვლენას, მდგომარეობას. ფერების კომპონენტით შედგენილი სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობა ფრანგულ ენაში შესაძლებელია დავეოთ შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებად, რომლებიც ასახელებენ შემდეგ ცნებებს:

1. ადამიანი

ა) ადამიანური ბუნების დახასიათება:

«Les gants jaunes» - დენდი

«Fils de la poule blanche» - ბედნიერი

«Etre blanc comme la neige» – იყო უდანაშაულო

«Aigle blanc» (ქარგ.) – ქურდული და ჯგუფების ბელადი.

«Bête bleue» - საზიზღარი

«Vert galant» - გულთამპყრობელი

«Voir la vie en rose» - იყო ოპტიმისტი

ბ) პიროვნების პიროვნებასთან დამოკიდებულება

«Etre marqué au fer rouge» - სტიგმის დადება

«Respecter les cheveux blancs» - მოხუცის პატივისცემა

«Jalousie blanche» - ბრმა ეჭვიანობა

«Rendre (bien) noir» - გაშავება, დაწყევლა

«Sourire jaune» - ცალყბად გაღიმება

«Rire jaune» - იძულებით სიცილი
 «Peindre en jaune, être peint en jaune (être trompé par sa femme), – რქების დადგმა, ღალატი
 Pot aux roses -საიდუმლოება, ბოროტი განზრახვით რაიმეს დამალვა

ვ) პროფესია:

«Dos vert» - სუტენიორი
 «Marchand de fil blanc» - ჟანდარმი
 «Cordon bleu» - კარგი მზარეული

დ) ადამიანთა ჯგუფის კრებითი ფორმა:

«L'électorat vert» - მწვანეები, გარემოს დამცველნი
 «Haricots verts» – ფაშისტი ოკუპანტები, ქურდები
 «Les partis verts» - მწვანეთა პარტიები

2. ტანსაცმელი

«Basbleu» - პოლიციელის ფორმა (არგო)

3. სასმელი:

«Un petit rouge» - ერთი ჭიქა წითელი ღვინო

4. ემოცია, განწყობა:

«Colère bleue» - ბრაზი
 «Colère blanche» - გაცეცხლება
 «Rouge comme une tomate» - პამიდორით/ჭარხალივით წითელი» (ასევე ნიშნავს ადამიანის გაწითლებას სირცხვილისგან ან სიბრაზისგან ან კიდევ მზის დამწვრობისგან)
 «Jaune comme un citron (un coing, une orange)» - ლიმონით, კომშივით ან ფორთოხალივით ყვითელი [Миргородская 2014: 9-18]

მოცემული სემანტიკური ჯგუფების გაანალიზებით გამოჩნდა უფრო ნეგატიური კონოტაციის მქონე ნომინაციური ფრაზეოლოგიზმები, ვიდრე დადებითი კონოტაციის მქონე.

ლექსიკონებში მოძიებული ფერებით შედგენილი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ ენაში შემდეგნაირად დალაგდა: თეთრი-შავი-ლურჯი-წითელი-მწვანე-ყვითელი.

ფერი	ფრაზეოლოგიური ერთეული
blanc (blanche)	<ol style="list-style-type: none"> 1. «blanche main (main blanche)» - მოუხერხებელი 2. Arme à blanc - თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული 3. «boule blanche» - გამოცდაზე კარგი ნიშნის მიღება 4. «carte blanche» - თავისუფალი ქმედება 5. «respecter les cheveux blancs» - უფროსების, მოხუცების პატივისცემა 6. «fils de la poule blanche» - ბელისწყალობს, ბედნიერია 7. «sourire blanc» - ძალად, მოჩვენებითიღიმილი 8. «être blanc» - ცუდად გამოიყურება, ცუდად ყოფნა 9. «peur blanche» - საშინელი შიში 10. «colère blanche» - მრისხანება 11. «jalousie blanche» - ბრმა ეჭვი 12. «dire blanc et noir» - ხან ერთის და ხან მეორის თქმა 13. «messe blanche» - უშინაარსო ლაპარაკი 14. «chou blanc» - სრული მარცხი 15. «faire chou blanc» - ხელცარიელი დარჩენა 16. «coup blanc» - უშედეგო ქმედება 17. «coupe blanche» - ტყის გაჩეხვა 18. «n'être pas blanc» - ხათაბალაში გახვევა 19. «dame blanche» - მოჩვენება 20. «marchand de fil blanc» - არაღეგაღური საქონლით მოვაჭრე 21. «aigle blanc» - ქურდული დაჯგუფების ბელადი 22. «merle blanc» - თეთრი ყვავი, იშვიათობა 23. «vers blanc» - გაურითმავი ანუ თეთრი ლექსი 24. «mariage blanc» - ფიქტიური ქორწინება

noir(e)	<ol style="list-style-type: none"> 1. «bile noire, mélancolie noire» - ცუდ ხასიათზე ყოფნა 2. «humour noir» - შავი იუმორი 3. «film noir» - საშინელებათა ფილმი 4. «papillons noirs» - ცუდი აზრები 5. «froid noir» - ცუდი ამინდი 6. «four noir» - სრული მარცხი 7. «misère noire» - უკიდურესი სიღარიბე 8. «peur noire» - პანიკური შიში 9. «cabinet noir» - პოლიციის საიდუმლო განყოფილება 10. «regard noir» - ბოროტი მზერა 11. «des crimes si noirs» - ამაზრზენი დანაშაული 12. «porter de noir» - სამგლოვიარო ტანსაცმლის, შავების ტარება 13. Humeur noir - ნადგველი
bleu(e)	<ol style="list-style-type: none"> 1. «sang bleu» - ცისფერსისხლიანობა 2. «rêve bleu» - ვარდისფერი ოცნება 3. «oiseau bleu» - ლურჯი ფრინველი-ბედნიერების სიმბოლო 4. «barbe bleue» - ლურჯწვერა (ფრანგული ზღაპრის გმირი, ასოცირდება ბოროტ ადამიანთან) 5. «peur bleue» - საშინელი შიში 6. «colère bleue» - მრისხანება 7. «bas bleu» - მოსაწყენი ადამიანი 8. «bête bleue» - საზიზღარი ადამიანი 9. «contes bleus» - სისულელეების, ზღაპრების როშვა 10. «gros bleu» - მჟავე ღვინო 11. «petit bleu» - სუფრის მსუბუქი ღვინო 12. «faire bleu (bleue)» - ლექციების გაცდენა 13. «être fleur bleue» - იყო გულუბრყვილო
rouge	<ol style="list-style-type: none"> 1. «roman rouge» - დეტექტიური რომანი 2. «rouge comme une écrivisse» - კიბორჩხალასავით წითელი 3. «rouge comme une tomate» - პამიდორივით/ჭარხალივით წითელი 4. «chapeau rouge» - კარდინალის ქუდი 5. «plaine rouge» - გილიოტინა 6. «travailler dans le rouge» - ვალით მუშაობა 7. «être en rouge» - გასაჭირში ყოფნა 8. «gros rouge» - ცუდი, შავი ღვინო 9. «être la lanterne rouge» - იყო უკანასკნელი
vert(e)	<ol style="list-style-type: none"> 1. « feu vert » - თავისუფალი ქმედება 2. «temps vert» - წვიმიანი ამინდი 3. «être vert de peur» - შიშისაგან გამწვანება 4. «être vert de froid» - სიცივისაგან გამწვანება 5. «vert galant» - გულთამყრობელი 6. «en dire des vertes» - უწმაწური სიტყვებით საუბარი 7. «être vert» - ფამილიარულად, შინაურულად ყოფნა 8. «haricots verts» - გერმანელი-ფაშისტი ოკუპანტები 9. «espace vert» - სკვერი, პარკი 10. « main verte » - მებაღეობა
jaune	<ol style="list-style-type: none"> 1. «jaune comme un citron» - ლიმონივით ყვითელი 2. «être jaune comme du safran» - იყო ბოტკინით ავად, გაყვითლება, ჰეპატიტი 3. «cartouche jaune» - მგლის ბილეთი 4. «colère jaune» - ძლიერი გაღიზიანება 5. «sourire jaune» - ცაღყება ღიმილი 6. «rire jaune» - ძალად სიცილი

ნებისმიერ ენაში ყველაზე აქტიური ფერებია წითელი, თეთრი, შავი, მწვანე და ლურჯი, ხოლო მთელ ლინგოკულტურულ დომინანტურ ტრიადაში წითელის, შავისა და თეთრის არსებობა დაკავშირებულია ადამიანთა კულტურის უძველეს წარსულთან.

დასკვნა

ფერთა შედგენილი ფრაზეოლოგიზმები ასახავენ ამა თუ იმ ხალხის სულიერი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებებს. საჭიროა გაითვალისწინოთ მოცემული ხალხის სამყაროს ხედვა, მათი ფსიქოლოგია, ისტორიული სპეციფიკა, კულტურულ-ეკონომიკური განვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა, ეროვნული ფოლკლორი, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. იმისათვის, რომ გავეცნოთ განსხვავებულ კულტურას, აუცილებელია ვისწავლოთ ფერთა ენის სწორი ინტერპრეტირება, ვიცოდეთ ფერების აღქმის ეროვნული თავისებურებები და მოცემული ცოდნის სწორად გამოყენება კულტურათშორისი ურთიერთობების რეალიზებისას.

მარსელ პრუსტი ამბობდა: «La beauté n'est pas dans les couleurs, mais dans leur harmonie» - „სილამაზე ფერებში კი არ მდგომარეობს, არამედ ფერთა შესამებაში“ .

ლიტერატურა

1. ბიბილეიშვილი ც., დარაშვილი ლ., გაჩავა რ. (2010): ფრანგულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, „ლიოგენე“
2. Веденина Л. Г. (1988): Особенности французского языка [Текст]. Пособие для учителя. – М.: Просвещение, 240с.

3. Гак В. Г. (2006): Новый большой французско-русский фразеологический словарь [Текст]. М.: Рус. яз., Медиа, – 1624с.

4. Миргородская М. (2014): «Фразеологизмы и пословицы с компонентом цветообозначения во французском и русском языках». Березовский.

5. Назарян А. Г. (1987): Фразеология современного французского языка. М., стр. 27-28

6. Laurent J. (2003) : Les figures de rhétorique. Université de Genève

ინტერნეტრესურსები

7. <http://www.dizayne.ru/txt/3sozd0211.shtml>
8. <http://www.pensees-citations.com/citation/beaute-harmonie-marcel-proust-3911/> (27/01/2018)

Phraseologisms Expressing Color in French Language

Natalia Surguladze

Batumi's Shota Rustaveli State University

European Department

35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia

Tel.: 593 394 181

E-mail: natalia.surguladze@bsu.edu.ge

Abstract

Phraseologisms are characteristic to every language at any level of development. It proves once again that phraseology is an inseparable and organic part of language system.

The current paper aims to investigate phraseologisms expressing color in the French language and to study this sphere once again. Generally colors have great impact on our consciousness, mood, emotions, choice of things, etc. Their amazing power is seen in everything and everywhere around us. Color may be attractive and irritating, soothing and inciting, tempting and stimulating at the same time. The perception of colors is represented differently in different languages and their meanings are different.

Keywords:

phraseologisms, color, linguo-cultural nomination, ethno-psychology.

Фразеологизмы выражающие цвет во французском языке

Сургуладзе Наталия Автандиловна
Батумский государственный университет
им. Шота Руставели
Департамент еврпеистики
Ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия
Тел.: 593 394 181
E-mail: natalia.surguladze@bsu.edu.ge

Резюме

Фразеологизмы характерны для каждого язы-

ка, на каком бы уровне развития они не находились. Это является еще одним доказательством того, что фразеология неразлучная и органическая часть языковой системы. В крылатых фразах, в идиомах и единицах, входящих в группу фразеологизмов, ярко выражена национальная самобытность языка. Они конденсируют сложные комплексы психологии и культуры того или иного народа, а также неповторимые средства художественного мышления.

Нашей целью является исследовать сферу цветowych фразеологизмов во французском языке. В общем, цвета большое влияние имеют на нашу жизнь, на настроение, на эмоции и т.д. В разных языках восприятие цвета выявляется по разному и принимает различные значения.

Ключевые слова:

фразеологизмы, цвет, лингвокультурный, номинация, этнопсихология.

ორენოვანი კომუნიკაციის თავისებურებანი

მარინე ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზ. №32, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 552 195
E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ორენოვანი კომუნიკაციის საკითხი, რომელიც წარმოადგენს სამეტყველო კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმას. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკე და ადრესატი შუამავლის გარეშე ვერ განახორციელებენ კომუნიკაციას. აქედან გამომდინარე, მთარგმნელის სახით საკომუნიკაციო ჯაჭვში ერთვება დამატებითი წევრი, რომლის ამოცანაა წარმატებული ურთიერთგაგების უზრუნველყოფა ორ სხვადასხვაენოვან კომუნიკანტს შორის. მთარგმნელმა უნდა შეასრულოს ორი მნიშვნელოვანი ამოცანა: 1) მან უნდა დაადგინოს მოლაპარაკის საკომუნიკაციო მიზანი და 2) მან უნდა მიადვილოს იგივე საკომუნიკაციო მიზანს მეორეენობრივი კომუნიკაციის შეცვლილ პირობებში. მთარგმნელის ხელში ერთადერთი ზემომქმედი სიდიდე არის გადასაცემი ინფორმაცია. მან ეს ინფორმაცია უნდა გადაამუშაოს, ჩართოს მასში ადრესატის თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნა და ამგვარად განსაზღვროს კომუნიკაციური ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ადრესატზე. ეს ინფორმაცია ისე უნდა იყოს აგებული, რომ უზრუნველყოს სასურველი კომუნიკაციური ეფექტი. ამიტომ, მთარგმნელი კარგად უნდა ფლობდეს საკომუნიკაციო საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები:

მოლაპარაკე, ადრესატი, კომუნიკაცია, ფონური ცოდნა, სამეტყველო სიტუაცია.

შესავალი

ენას ადამიანთა საზოგადოებაში მრავალი ფუნქცია ეკისრება: ის გამოიყენება როგორც სამყაროს შემეცნების საშუალება (კოგნიტიური ფუნქცია), გრძნობების გამოხატვის საშუალება (ექსპრესიული ფუნქცია), საზოგადოებრივი გამოცდილებებისა და მონაპოვრების აკუმულაციის საშუალება (კუმულაციური ფუნქცია), სინამდვილის აღწერის საშუალება (დენოტაციური ფუნქცია). მაგრამ მთავარი მათ შორის არის ენობრივი კომუნიკაციის საშუალების ფუნქცია. ყველა ზემოაღნიშნული ფუნქცია ექვემდებარება კომუნიკაციურს. კომუნიკაციის ქვეშ გაიგება ნებისმიერი კავშირი მოლაპარაკესა და ადრესატს შორის, რომლის მსვლელობისას ინფორმაციები გაცნობიერებულად და მიზანდასახულად გაიცვლება. ენობრივი კომუნიკაცია წარმოადგენს საზოგადოებრივ მოდერაწეობას და შედგება ორი ერთმანეთის შემავსებელი საფეხურისაგან: 1) მაპროდუცირებელი (მაწარმოებელი) საფეხური (Erarbeitsstufe), რომელზეც ადამიანი ობიექტური რეალობის (სინამდვილის) აზრობრივ ასახვას ახდენს ენობრივ გამონათქვამებში და 2) რეცეპციული საფეხური (Verarbeitungsstufe), რომელზეც ადამიანი ამ ენობრივ გამონათქვამებს დებულობს და აქტიურად გადაამუშავებს, რომლის დროსაც ის თავისი ცოდნის, გამოცდილების და სურვილის საფუძველზე მათ შეარჩევს, აფასებს და ავსებს. გადამუშავების პროცესის შედეგი არის ცნობიერების შეცვლა, რომელიც შეიძლება აისახოს სავსებით განსაზღვრულ რეაქციებსა ან განსხვავებულ პოზიციაში. მაშასადამე, კომუნიკაციის ფაქტორებია: კომუნიკაციის მონაწილეები (კომუნიკანტები), კავშირი აზროვნებასა (აზრობრივი გამოხატულებები), ასახულ სინამდვილესა (ობიექტური რეალობა) და ენას შორის მისი მოვლენის იმ ფორმით, რომელსაც მეტყველება

ეწოდება (ენობრივი გამონათქვამები), მოღვაწეობა მისი ორი ფორმით-პროდუქციული და რეცეპციული, ადრესატის ცოდნისა და გამოცდილებების თანამონაწილეობა და ბოლოს შედეგი [ნებიერიძე 1999: 8].

ძირითადი ნაწილი

ყოველი ვერბალურ კომუნიკაციის მიზანია გავლენა მოახდინოს ადრესატის ქცევაზე, მოლაპარაკე ცდილობს სამეტყველო კომუნიკაციით ზემოქმედება იქონიოს განსაზღვრული სახით თავის ადრესატზე, ანუ გამოიწვიოს მდგომარეობის შეცვლა ცნობიერების ინტელექტუალურ ან ემოციურ სფეროში. ენობრივი კომუნიკაციის დროს ეს ზემოქმედება ხდება ინფორმაციების გადაცემით. მნიშვნელოვანი გზა ამის მისაღწევად არის ენობრივი გამონათქვამი (აზრის ენობრივი გამოხატულება).

ცნობილია, რომ ცალკეული ენობრივი ნიშნების მნიშვნელობა, ასევე მათი დაკავშირების წესები ადრესატისათვის დაახლოებით ისე მაინც უნდა იყოს ცნობილი, როგორც მოლაპარაკისათვის. ამ ერთობლივი ნიშნების ფლობა (კოდის იდენტიფიკაცია) ქმნის შეუფერხებელი ურთიერთგაგების წინაპირობას, და მაინც, კოდური იდენტიფიკაცია არასოდეს არის აბსოლუტური: არსებობს გარკვეული განსხვავებები ცალკეული ნიშნების ცოდნასა და განმარტებაში მოლაპარაკესა და ადრესატს შორის. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ განსხვავებებზე განათლების დონის, გათავისებულებული კულტურული მონაპოვრის რაოდენობისა და ხარისხზე, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ენობრივი კოდექსის რეგიონალურ, სოციალურ, ნაციონალურ და ასაკობრივ სტრუქტურასთან. ერთენოვანი კომუნიკაციის დროს შეიძლება ამის გამო ურთიერთგაგება შეფერხდეს. თუმცა ის მხოლოდ იშვიათად არის სრულად ბლოკირებული, რადგან ორივე კოდს შორის თანხვედრა იქამდე აღწევს, რომ გაგებისათვის საჭირო

ინფორმაციის ნაწილმა შეუფერხებლად (მცდარი ინტერპრეტაციის გარეშე) მიაღწიოს ადრესატამდე. კომუნიკაციის დროს შემდეგი სტრუქტურაა სახეზე: მოლაპარაკე „შემუშავების ეტაპზე“ ახორციელებს შემდეგ ქმედებებს: საკომუნიკაციო მიზნის ჩამოყალიბებას, საკომუნიკაციო ობიექტის შერჩევას, ინფორმაციის მოცულობის დადგენას საკომუნიკაციო ობიექტის შესახებ, ტექსტის პროდუცირებას და სამეტყველო სიტუაციის ორგანიზაციას, ინფორმაციის გადაცემას სამი არხით: ტექსტის არხი, პარაენობრივი არხი (ტონალობა, ქუსტები, მიმიკა), სამეტყველო-სიტუაციური არხი: წერილობითი ან ხეპირი ფორმა, კომუნიკაციის დრო და ადგილი, წინარე და მომდევნო საკომუნიკაციო აქტები იმავე პარტნიორებით იმავე თემაზე. „დამუშავების ეტაპზე“ მოქმედებას იწყებს ადრესატი. ის ღებულობს ინფორმაციას (ვიზუალურად ან აუდიურად), რომელიც მოცემულია ტექსტში, პარაენობრივ საშუალებებში და სამეტყველო სიტუაციაში. ამ ინფორმაციას ის აღიქვამს როგორც მონაცემთა ერთიან ნაკადს. მიღებულ ინფორმაციას ადრესატი გაშიფრავს (ახდენს მის დეკოდირებას), რომლის დროსაც ის ადგენს სიტყვებისა და წინადადებების საგნობრივ მიმართებას (რეფერენციულ მნიშვნელობას). მიღებულ ინფორმაციას ადრესატი აკავშირებს კომუნიკაციის დროს მის ცნობიერებაში არსებულ წინარე ცოდნას (Vorwissen) კომუნიკაციის ობიექტის მიმართ არსებულ ცოდნასთან. ამ გზით ადრესატი ახორციელებს ინფორმაციულ-აზრობრივ უკურეაქციას-განსაკუთრებით მნიშვნელოვან დამუშავებით ქმედებას. ენობრივი აღწერით რაიმე საგნობრივი სიტუაციის (ვითარების) შესახებ მოლაპარაკე აყალიბებს და გამოხატავს თავის აზრებს. ადრესატმა უნდა მოახდინოს მოლაპარაკის ამ აზრის ფორმულირება, გამონათქვამის ინტერპრეტაცია. თუ მან ეს შესძლო, შეიძლება ვილაპარაკოთ „აზრობრივი კონტაქტის“ შესახებ. ამგვარად, „დამუშავების ეტაპს“ განეკუთვნება 4 ფაზა:

1) ინფორმაციის მიღება, 2) ინფორმაციის გასხნა, 3) მისი დაკავშირება თემატურ წინარე ცოდნასთან და 4) ინტერპრეტაცია. ანალიზის შედეგად ვიღებთ ადრესატის დასკვნას მოლაპარაკის საკომუნიკაციო მიზნის ან კომუნიკაციის მნიშვნელობის შესახებ. სწორედ ეს დასკვნა საკომუნიკაციო აზრის შესახებ უნდა იყოს საკომუნიკაციო შედეგი.

ორენოვან კომუნიკაციაში, რომელიც წარმოადგენს სამეტყველო კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმას, მოლაპარაკე და ადრესატი ვერ განახორციელებენ შუამავლის გარეშე კომუნიკაციას, ე.ი. საკომუნიკაციო ჯაჭვში მთარგმნელის სახით ერთგვება დამატებითი წევრი, რომლის ამოცანაა წარმატებული ურთიერთგაგების უზრუნველყოფა ორ სხვადასხვაენოვან კომუნიკანტს შორის. მთარგმნელი კარგად უნდა ერკვეოდეს ზემოთაღნიშნულ ფაქტორებში. მან ეს ფაქტორები უნდა გამოიკვლიოს თავის ურთიერთქმედებაში, რათა გაერკვეს მოლაპარაკის საკომუნიკაციო მიზანში. მან ეს ფაქტორები ასევე თავის ურთიერთქმედებაში უნდა გაითვალისწინოს, რათა მეორე (სათარგმნ) ენაში საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად შესაბამისი საშუალებები გამოიხატოს და გამოიყენოს ისინი თარგმნისას. მოკლედ რომ ვთქვათ, მთარგმნელი, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, უნდა იყოს კომუნიკაციის მცოდნე, ხშირად კომუნიკაციის ხელოვანიც. ამიტომ აუცილებელია მას ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს საკომუნიკაციო აქტის სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ [ფეოდოროვი 1983: 301].

მთარგმნელის ამოცანაა ორივე საკომუნიკაციო აქტის (ამოსავალ და მიზნობრივ ენაში) ეკვივალენტურობის უზრუნველყოფა, რაც საკომუნიკაციო შედეგით ფასდება. იზომორფია (ფორმალური მსგავსება) არ წარმოადგენს ობლიგატორულ წინაპირობას ინვარიანტულობისათვის თარგმანში, ანუ საშუალებების იზომორფია არ არის მთარგმნელობითი ინვარიანტულობის ობლიგატორული პირობა.

ამასთან საჭიროა მთარგმნელმა სიფრთხილე გამოიჩინოს საკომუნიკაციო საშუალებების თვითნებური ან ირაციონალური გამოყენებისას. თუ მოცემული საკომუნიკაციო მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას იზომორფული საშუალებებით, არ არის საჭირო ვეძებოთ მეორე ენაში სხვა (კერძოდ ალომორფული) საშუალებები. რაციონალური თარგმანის დროს საჭიროა თავიდან ავიცილოთ ზედმეტი ალომორფული საშუალებები, ვიდრე მათი გამოყენება არ იქნება აუცილებელი. ძალიან ბევრი ალომორფული საშუალება ნიშნავს თვითნებურ და ამასთან არარაციონალურ კომუნიკაციურ საშუალებებს. ძალიან მცირე ალომორფული საშუალებები (და ძალიან ბევრი იზომორფია) კი არის ამოსავალი ობიექტის სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაციის გამოსატყულება. მხოლოდ ოპტიმალური მიმართება იზომორფულ და ალომორფულ საშუალებებს შორის ქმნის ოპტიმალური მთარგმნელობითი სამუშაოს გარანტიას [ჯაში 2014: 326].

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ინფორმაციის გადაცემა წარმოებს სამი არხით: 1) ტექსტის არხი, 2) პარაენობრივი არხი, 3) სამეტყველო – სიტუაციური არხი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1) ყოველი ტექსტი შედგება პატარა ერთეულებისაგან – სიტყვებისაგან (მარტივი ენობრივი ნიშნებისაგან) და წინადადებებისაგან (რთული ენობრივი ნიშნებისაგან). ტექსტის როგორც ერთიანი მთელის მნიშვნელობა, ემყარება ცალკეული მარტივი და რთული ნიშნების სემანტიკას და იწარმოება მათგან. ეს არის ტექსტის ანალიზის ძირითადი პრინციპი. ყოველ ენობრივ ნიშანს აქვს ორი მხარე – მატერიალური (შესაბამისი გრაფიკული ან აკუსტიკური ფორმა), და აზრობრივი (შინაარსობრივი დონე), საკუთრივ მნიშვნელობა. ტექსტის საერთო მნიშვნელობისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ შინაარსის პლანი, ანუ ცალკეული ნიშნების მნიშვნელობები. ყოველი ნიშანი მხოლოდ იმიტომ არის ნიშანი, რადგან ის რაღაცას აღნიშნავს, ის გარკვეულ

მიმართებაშია ამ ნიშნის მიღმა არსებულ რა-
 ლაცასთან. ნიშნის მიმართება მის მიღმა არსე-
 ბულთან არის ნიშნის მნიშვნელობა თავისი
 მიმართებების შედეგად რაღაცასთან, რაც
 არის ნიშნის მიღმა, ყოველი ნიშანი ახდენს
 განსაზღვრული ინფორმაციების რეპრეზენ-
 ტაციას. ყოველი ნიშანი შედის ერთდროუ-
 ლად რამდენიმე მიმართებაში და ახდენს
 მრავალი და სხვადასხვა ინფორმაციის სიმ-
 ბოლიზაციას. ყველა სხვა მიმართებებთან უპ-
 ირატესია ნიშნის მიმართება აღსანიშნ საგან-
 თან. ამასთან სიტყვა-ნიშანი მიმართულია არა
 კონკრეტულ და ცალკეულ საგანთან, არამედ
 საგნების (მდგომარეობების, პროცესების,
 თვისებების) სიმრავლეზე, რომლებიც ერ-
 თად ქმნიან კლასს, მაგ.: Buch, essen, tapfer. ეს
 მიმართება წარმოადგენს რეფერენციულ (დე-
 ნოტაციურ) მიმართებას. როგორც ნიშანთა
 სისტემის ელემენტი, ნიშანი იმყოფება სხვა-
 დასხვა მიმართებებში იმავე სისტემის სხვა
 ნიშნებთან. ეს ინტრალინგვალური მიმართე-
 ბები გულისხმობს ისეთ რელაციებს, როგორი-
 ცაა: ა) აკუსტიკური მსგავსების მიმართება:
 Luftfahrt-Unart, ბ) სიტყვების მორფემათა აგე-
 ბულებაში მსგავსების მიმართება-სიტყვების
 პოზიციები და ნიშები: Luftfahrt, Bootsfahrt,
 Himmelfahrt, გ) სიტყვების სემანტიკური მსგავ-
 სების მიმართება-სემანტიკური რიგები ან
 ლექსიკურ-სემანტიკური ველები: Luftfahrt-
 Flugreise, დ) სემანტიკური დიფერენციაციის
 მიმართება-ანტონიმები, კონვერსია: Luftrei-
 se, Eisenbahnreise, Eselritt, ე) სიტყვების ურ-
 თიერთშეთავსების მიმართება წინადადებაში:
 zivile Luftfahrt, Luftfahrt entwickeln. მიმართების
 მესამე სახე, რომელიც ყველა ნიშანს აქვს,
 არის მიმართება ნიშანსა და კომუნიკანტებს
 შორის (პრაგმატული მიმართება). მიმართება
 „აღამიანი-ნიშანი“ ვლინდება ისეთ მნიშვნ-
 ელობებში, როგორიცაა: ა) მოლაპარაკის
 სუბიექტური პოზიცია რეფერენტის (დენოტა-
 ტის) მიმართ, დენოტატის ემოციური შეფასე-
 ბა: Kopf-Brummschädel, ბ) ერთ-ერთ ფუნქციო-
 ნალურ სტილთან მიკუთვნება: quatschen, dis-

kutieren, beraten. ამ ტიპის მნიშვნელობებს ეწო-
 დებათ პრაგმატულ-სტილისტური მარკირე-
 ბები. გარდა ამისა, აქ შემოდის კონოტაციური
 მნიშვნელობები. რადგან ნებისმიერ ნიშანს
 სამი სახის მიმართება გააჩნია, ნიშნის ინფორ-
 მაციული შინაარსი შედგება 3 კომპონენტისა-
 გან: რეფერენციული, ინტრალინგვალური და
 პრაგმატული მნიშვნელობა. მნიშვნელობების
 ეს სამი ნაწილი ერთად ქმნის ნიშნის საერთო
 ინფორმაციულ ღირებულებას. წინადადება
 არის ნიშნების სტრუქტურა, რომლებიც ერთ-
 მანეთთან დაკავშირებულია განსაკუთრებუ-
 ლი ელემენტებით (ფორმატივებით). ფორმა-
 ტივების ფუნქციაა წინადადების როგორც
 მთელის სინტაქსური გაფორმება. სინტაქ-
 სური ფორმატივების საშუალებით ნიშნები
 ერთმანეთს უკავშირდება და იმაგდროულად
 ერთმანეთთან დაქვემდებარების მიმართე-
 ბაშია. წინადადების კომპონენტებს შორის
 მიმართებას ეწოდება სინტაქსური მიმართე-
 ბები. ზედაპირული სინტაქსური მიმართებები
 არ არის მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი
 ანალიზისათვის, უფრო მეტი დატვირთვა მო-
 დის სიღრმისეულ სინტაქსურ მიმართებებზე.
 ზედაპირულად განსხვავებულ წინადადებებს:
 Er hat drei Bücher geschrieben; er ist Verfasser von
 drei Büchern; aus seiner Feder stammen drei Bücher
 – აქვთ ერთნაირი სიღრმისეული სტრუქტურა:
 აგენსი (მე-3 პირი, მს.რ) ქმნის – წარსული
 დრო +ობიექტი Buch (მრ.რ.). სინტაქსური სიღ-
 რმისეული მიმართებები მთარგმნელისათვის
 მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გამოხატავენ
 მნიშვნელოვან კავშირებს გამონათქვამის
 შიგნით. ცალკეული ნიშნების და მათი და-
 კავშირების ინფორმაციული ღირებულების
 გარდა, წინადადების საერთო ღირებულებაზე
 მოქმედებს სხვა ფაქტორიც – ინფორმაციის
 დიფერენციაცია ჯგუფების მიხედვით – „ნა-
 ცნობი“ (თემა) და „ახალი“ (რემა). ამ დიფე-
 რენციაციას უწოდებენ კომუნიკაციურ (ასევე
 აქტუალურ) დანაწევრებას და ის აჩვენებს,
 თუ რომელი საინფორმაციო ნაწილია უფრო
 მნიშვნელოვანი მოცემული საკომუნიკაციო

მიზნისათვის და რომელს აქვს ნაკლები ღირებულება.

ერთნაირი ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურის დროს სემანტიკურ-საგნობრივად იდენტურმა წინადადებებმა შეიძლება სხვადასხვა რამ გამოხატოს, მაგალითად: *Morgen muss ich nach Leipzig fahren (aber nicht nach Berlin, Dresden oder Jena, und nicht etwa fliegen oder laufen). Nach Leipzig muss ich morgen fahren (also nicht in einer Woche oder wann es mir gerade passt, sondern eben morgen). Nach Leipzig muss morgen ich fahren (also nicht du oder er oder wer will, sondern unbedingt ich).*

მაშასადამე, სიტყვები ერთმანეთს წინადადებაში უკავშირდება და კომუნიკაციური დანაწევრების გზით ხდება მათი იერარქია. წინადადებები ერთმანეთს უკავშირდება ტექსტად ლოგიკურ-კომუნიკაციური თვალსაზრისით. ამ გზით იქმნება ტექსტის აბსოლუტური საერთო-ინფორმაციული ღირებულება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის აბსოლუტური საერთო-ინფორმაციული ღირებულება არ უნდა იყოს იდენტური ცალკეული ნიშნების ინფორმაციული ღირებულებების ჯამისა. ამისათვის არსებობს რამდენიმე მიზეზი: 1) ყოველი ტექსტი შეიცავს სხვადასხვა ინფორმაციას – რეფერენციულს, ინტრალინგუურს, პრაგმატულს და აგრეთვე ფორმალურ-გრამატიკულს, რომელთა შეჯამება ერთმანეთთან არ შეიძლება, 2) სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების დაკავშირებისას შეიძლება წარმოიშვას სემანტიკურ-ინფორმაციული სტრუქტურები, რომელთა კომპონენტების რედუქცია არ შეიძლება, მაგ.: *j-m den Kopf waschen (j-m eine scharfe Rüge erteilen); blinder Passagier (Fahrgast ohne gültigen Fahrausweis).*

3) არსებობს ტექსტები, რომლებშიც საერთო მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რაც სტრიქონებს შორის წერია. ამასთან მთარგმნელი ეყრდნობა არა მარტო ნიშნის საერთო-ინფორმაციულ ღირებულებას, არამედ უფრო მეტად სიტყვის ლექსიკურ ფონს (უკანა

პლანს). წინაპირობები ტექსტის აბსოლუტური საერთო-ინფორმაციული ღირებულების დასადგენად მდგომარეობს შემდეგში: 1) ლექსიკონებით ლექსიკაზე და სხვა ცნობარებით მუშაობაში, 2) გრამატიკული წესების ფლობაში და გამონათქვამის ელემენტებს შორის არსებითი მიმართებების გაგებაში, 3) კომპეტენტურობაში: ტექსტის ზუსტი და კვალიფიციური ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია ორენოვანი კომუნიკაციის წარმატებული განხორციელება [კომისაროვი 1980: 25].

აღსანიშნავია აგრეთვე ტექსტის პრაგმატული ასპექტი. პრაგმატული სელექციის ქვეშ იგულისხმება საკომუნიკაციო საშუალებების შერჩევა, რომელსაც მოლაპარაკე ახდენს ადრესატის სპეციფიკის გათვალისწინებით, ანუ შერჩევა, რომელიც არ არის წინასწარ განსაზღვრული ენის სისტემით ან ენის უზუსტით. სინამდვილის მოვლენები ისეთი მრავალმხრივია, რომ არ შეიძლება ისინი ამომწურავად (ანუ ყოველმხრივ) იქნას აღწერილი, მაგ.: საგნობრივი სიტუაცია: *Vorlesung an der Hochschule შეიძლება წარმოვადგინოთ მრავალნაირად: Im Raum 107 findet im Augenblick eine Vorlesung statt oder Eine Vorlesung zur Sprachmittlungstheorie wird von einem angesehenen Forscher im Raum 107 gehalten. Die Studenten des 4. Studienjahres haben jetzt im Raum 107 eine theoretische Lehrveranstaltung in einem ihrer Grundfächer. Mit viel Interesse verfolgen Studentinnen und Studenten des 8. Semesters übersetzungstheoretische Ausführungen eines international bekannten Professors. ამ სხვადასხვა გამონათქვამებით თვალსაჩინო უნდა გახდეს ის, რომ მოცემული გამონათქვამები ყოველთვის მხოლოდ ყველა ინფორმაციის ერთ ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც შეიძლება ერთი და იმავე სინამდვილის მონაკვეთით (Sachverhalt) გადმოიცეს. ამ არასრულყოფილად ჩამოთვლილში არ არის შეტანილი შემდეგი მონაცემები (ლექციის ფორმა, რეფერენტისა და სტრუქტურების ქცევა, სალექციო ოთახი, დრო და ბევრი სხვა). ელემენტების შერჩევა რეალური*

სინამდვილის აღწერისათვის წარმოებს პრეფერენციული შკალის მიხედვით, რომელშიც საკომუნიკაციო მიზანი სულ ზევით დგას და საკომუნიკაციო გარემო და კომუნიკაციის პარტნიორები ჩათვლილია გავლენის სიდიდეებად. ასე აღგენს მოლაპარაკე, თუ რა არის, მისი თვალსაზრისით, ღირებული, რათა გამოიყენოს ის კომუნიკაციაში. კომუნიკაციის მონაწილეები ტექსტის ინფორმაციებს აბსოლუტურად კი არ აღიქვამენ, არამედ პრაგმატული სელექციის კუთხიდან. დანაწევრება: საკვანძო ინფორმაცია-რედუნდანტული ინფორმაცია თარგმანისათვის პრინციპული მნიშვნელობისაა. ინფორმაციული ტრანსფორმაციები, ანუ ინფორმაციული მოცულობის შემცირება პრინციპულად მიმართული უნდა იყოს რედუნდანტულ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ მთარგმნელს მუდამ უნდა შეეძლოს განასხვაოს საკვანძო ინფორმაცია ჭარბი ინფორმაციისაგან. არ უნდა გავათანაბროთ ერთმანეთთან ჭარბი ინფორმაცია და ზედმეტი ინფორმაცია. ჭარბი ინფორმაცია სამეტყველო კომუნიკაციისათვის აუცილებელია და სასარგებლო, თუ არა აბსოლუტურად საჭირო.

2) მეორე საკომუნიკაციო არხი არის პარაენობრივი (პარალინგვისტური) საშუალებები. აქ შემოდის: 1) არავერბალური ენობრივი ნიშნები: ჟესტები, მიმიკა, ბგერითი და გრაფიკული ნიშნები, მათი გამოვლინების ფორმები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება პარაენობრივ ნიშნებად, როცა ისინი არ არის წმინდა ბიოლოგიური ხასიათის, არამედ ენაცვლებიან კონვენციონალურ ვერბალურ კომუნიკაციას ან ავსებენ მას. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ზეპირი კომუნიკაციის დროს, ისევე როგორც გამონათქვამის პროსოდიული არტიკულაციის ნიშნებს, რომლებიც მოლაპარაკის ისეთ მახასიათებლებს შეიცავენ, როგორცაა დარწმუნება, ეჭვი, უხეშობა ან ზრდილობა, რომლებიც ადრესატისა და მისი რეაქციებისათვის მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

3) მესამე საკომუნიკაციო არხი არის სა-

მეტყველო სიტუაცია, რომელიც შედგება რამდენიმე ფაქტორისაგან. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად, როდის, როგორ - წერილობით თუ ზეპირად – წარმოებს კომუნიკაცია. საკომუნიკაციო ფორმასთან ერთად საკომუნიკაციო ობიექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უმეტესი პოლისემანტური კონსტრუქციებისა და სიტყვების მონოსემანტიზაციისათვის. ამგვარად, სამეტყველო სიტუაცია როგორც ზემოქმედების ერთიანი სიდიდე, შედგება შემდეგი ფაქტორებისაგან: საკომუნიკაციო ფორმა, საკომუნიკაციო ობიექტი, საკომუნიკაციო კონტექსტი, საკომუნიკაციო როლების განაწილება. ინფორმაციის მეორე ნაწილს ქმნის ადრესატის ცნობიერებაში ურთიერთგაგების დროს დაგროვილი (შენახული) ინფორმაცია (პრეინფორმაცია, წინარე ცოდნა, ფონური ცოდნა-Vorwissen), რომელიც საკომუნიკაციო აქტამდე ადრესატის განკარგულებაშია. მთარგმნელის მიერ კომუნიკანტების ცოდნის მარაგის გათვალისწინება, პირველ რიგში, წინაპირობად აყენებს წინარე ცოდნის ტიპის ანალიზს. საჭიროა იმის დადგენა, აქ მოქმედებს ერთიანი საფუძველი, თუ კომუნიკაციის შემაფერხებელი ბარიერი. აქ შესაძლოა იყოს ინფორმაციის გავრცელების ხარისხი და ადრესატის ინდივიდუალური ცოდნის დონე საკომუნიკაციო ობიექტის თვალსაზრისით. როგორც ორენოვანი კომუნიკაციის შუამავალმა-მთარგმნელმა უნდა შეძლოს კომუნიკანტების წინარე ცოდნის შეფასება. ამისათვის მან არა მარტო უნდა გაიგოს ორიგინალის ტექსტი ღრმად და ადეკვატურად, არამედ მას უნდა შეეძლოს კომუნიკანტების წინარე ცოდნის შეფასება.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს უბრალოდ მთარგმნელი, არამედ არსებობს მხოლოდ მთარგმნელი ან თარჯიმანი ამა თუ იმ სფეროში. მთარგმნელმა უნდა შეძლოს და გააფართოვოს იმ სფეროს პალიტრა, რომელშიც ის მყარად და დამაჯერებ-

ბლად გრძობს თავს. იგი პასუხისმგებელია საკომუნიკაციო ეფექტისათვის (შედგისათვის). მთარგმნელობითი ამოცანების კომუნიკაციური ინტერპრეტაცია მაღალ მოთხოვნებს უყენებს მთარგმნელის პროფესიულ კვალიფიკაციას. მისი საფუძვლებია: 1) ორივე ენის (ამოსავალი და მიზნობრივი ენების) თავისუფალი პასიური (ანალიზური) და აქტიური (სინთეზური) ფლობა; 2) ორივე ენის ცალკეული ენობრივი საშუალებების მიმართებების ყოველსმომცველი ცოდნა; 3) ენობრივი კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ უხარვეზო წარმოდგენები (ყველა მისი საშუალებებისა და ფაზების ურთიერთკავშირი) და კომუნიკაციის შესანიშნავი ფლობა; 4) ეთნოლოგიური და ეთნოკულტურული ცოდნა, რომელიც საჭიროა კულტურული ბარიერის გადასალახავად.

თარგმანის ჭეშმარიტი უნარი, როგორც ჭადრაკის თამაშში, შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ამ საქმის თეორიული ცოდნისაგან (ამ საქმიანობის ამოცანების, კანონების და კანონზომიერებების შესახებ) და საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებული იმპროვიზაციის უნარისაგან [კოლერი 2001: 55].

ლიტერატურა

1. Koller W. (2001): Einführung in die Übersetzungswissenschaft, Verlag Quelle & Meyer, Wiebelsheim
2. Комиссаров В. (1980): Лингвистика перевода, издательство «Просвещение», Москва
3. ნებიერიძე გ. (1999): ენათმეცნიერების შესავალი. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი
4. Федоров А. (1983): Основы общей теории перевода, издательство «Просвещение», Москва
5. ჯაში მ. (2014): ინვარიანტულობა და ეკვივალენტურობა თარგმანში, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ჰუმანიტარუ-

ლი მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში II, ბათუმი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

Особенности двуязычной коммуникации

Джашии Марина Николаевна

Государственный университет им. Ильи

Факультет наук и искусства

Пр. И. Чавчавадзе №32, 0179, Тбилиси, Грузия

Тел. : 599 552 195

E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

Резюме

В статье рассматривается вопрос о двуязычной коммуникации, которая является особенной формой речевой коммуникации. Ее особенность состоит в том, что говорящий и адресат не смогут осуществить коммуникацию без посредника. Исходя из этого, в коммуникативную цепь в лице переводчика включается дополнительный член, задачей которого является обеспечение успешного взаимопонимания между двумя разноязычными коммуникантами. Переводчик должен выполнить две значительные задачи: 1) Он должен установить коммуникативную цель говорящего и 2) Он должен достичь идентичной коммуникативной цели в измененных условиях второго языка. Единственной воздействующей величиной под рукой у переводчика является передаваемая информация. Он должен переработать эту информацию, включить в нее фоновое знание, связанное с темой адресата и таким образом определить коммуникативную информацию, которая непосредственно воздействует на адресата. Эта информация должна быть так построена, чтобы обеспечить желаемый коммуникативный эффект. Поэтому переводчик должен очень хорошо владеть коммуникативными средствами.

Ключевые слова:

говорящий, адресат, коммуникация, фоновое знание, речевая ситуация.

recipient and benefit with background knowledge in order to ensure desirable communicative effect. Why is important, that the translator should have very good communication skills.

Features of Bilingual Communication

Marina Jashi

Ilia' s State University

Faculty of Sciences and Art

32, I. Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 552 195

E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

Keywords:

speaker, addressee, communication, background knowledge, speechsituation.

Abstract

The article explores the bilingual communication issue, which is considered a particular form of speech communication. Its peculiarity is that a speaker and an addressee cannot communicate without mediator. Translator, as additional member of the communication chain is incorporated, in order so ensure a successful mutual understanding between two multilingual communicants. The translator must fulfill two significant tasks: 1) To identify the objective of communicative goal of the speaker. 2) To achieve the same goal through second language communication in the changed circumstance. The main influencing factor from the translator's side is the transfer of the information. The translator should make this information relevant to the

ლიტერატურული ტრადიციების დესტრუქცია ნაბოკოვის რომანში „ლოლიტა“

ხათუნა წიკლაური
საქართველოს უნივერსიტეტი
ევროპული ენებისა და ფილოლოგიის
დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77ა, 0175, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 541 462
E-mail: katia.tsiklauri@yahoo.fr

რეზიუმე

ვლადიმერ ნაბოკოვის რომანი „ლოლიტა“ ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური რომანია, რომელიც მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ამიტომ რთულია მისი ამომწურავი სურათის გადმოცემა, ესთეტიკური სისტემის, ყველა გამოცანის და გაურკვევლობის ამოხსნა, რასაც კვალიფიცირებული მკითხველი აღმოაჩენს რომანში. ის დღესდღეობითაც არ კარგავს აქტუალობას თავისი მხატვრული ღირებულების გამო. ნაბოკოვის მწერლობაში თვალსაჩინოა ლიტერატურული ტრადიციების დესტრუქცია, რაც განპირობებულია მიზანმიმართული პაროდირებით, კლასიკური ჟანრული მოდელების მოქნილი ცვლილებით და პოსტმოდერნისტული ხერხების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, ნაბოკოვის პროზა უნდა განვიხილოთ თანამედროვე პოსტმოდერნისტული პროზისთვის დამახასიათებელ, პოეტიკური პრობლემების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები:

პოსტმოდერნისტული ფილოსოფია, სტილისტური თავისებურებები, თვითანალიზი, სტრუქტურული მრავალპლანიანობა, მხატვრული ხერხები, ალუზია, მოხრობელი, დანაწევრების ტექნიკა.

შესავალი

ვლადიმერ ნაბოკოვი კატეგორიულად გამოდიოდა ლიტერატურულ ხელოვნებაში საღი აზრის წინააღმდეგ. საღ აზრს ის ამორალურს უწოდებდა, რადგანაც კაცობრიობის ბუნებრივი მორალი ირაციონალურია. საღი აზრი, ნაბოკოვის მიხედვით, ეს იყო აზრი ჯანსაღი უმრავლესობის, რაც სწორია, როგორც კვადრატი და ყველაფერი, რასაც ის ეხება, მაშინვე უფასურდება. ნაბოკოვი დარწმუნებული იყო, რომ „საღი აზრის საზარელი მონსტრი“ ზიანს აყენებდა შემოქმედებით პროცესს.

პოსტმოდერნისტული პარადიგმისთვის დამახასიათებელია ტრადიციული წარმოდგენების რღვევა ერთიანობის, სისრულის, ესთეტიკური სისტემების შესახებ, ყოველგვარი ტაბუს და საზღვრების უარყოფა. თუმცა, ამის მიუხედავად, მკვლევრებს არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა გამოეყოს პოსტმოდერნიზმის ზოგადი მახასიათებლები. ის ფაქტი, რომ ნაბოკოვის შემოქმედება აერთიანებს რუსეთის, ევროპისა და ამერიკის ენასა და კულტურას, გამოხატულებას უნდა ჰპოვებდეს „ლოლიტას“ მხატვრულ სამყაროში, სხვა სიტყვებით, კულტურებსა და ენებს შორის ურთიერთქმედების ელემენტები და ხერხები უნდა გადადიოდეს ნაწარმოების მხატვრულ სამყაროში და განაპირობებდეს მის უნიკალურ სტილს.

პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში საკმაოდ მოქნილად იყენებენ გარკვეულ ხერხებს. მათ შორის თხრობის მანერის მიზანმიმართულ გართულებას, პარადიულობას, ავტორის მიერ ნიღბის გამოყენებას, ალუზიურობას, თამაშის ხერხის გამოყენებას.

პოსტმოდერნისტი მწერლების პერსონაჟები უმთავრესად პასიურები არიან და უბრალოდ მიყვებიან დინებას, ადევნებთ მხო-

ლოდ საკუთარი არსებობა, იმ დროს, როცა მოდერნისტული მიმდინარეობის პერსონაჟები უარყოფენ ბურჟუაზიულ ღირებულებებს. ნაბოკოვის მიერ ტრადიციული ლიტერატურული ფორმების მკაცრი გათვალისწინება, რაც ასევე აღსანიშნავია რომანში „ლოლიტა“, სინამდვილეში მიუთითებს ავტორის მიერ რეალისტური ტრადიციის უარყოფას.

აკადემიური კომენტარი, ოჯახური ქრონიკა და სხვა მხოლოდ და მხოლოდ პროვოკაციაა, ჟანრული პარამეტრების მუდმივი რღვევა. „ლიტერატურულობის“ ხაზგასმა აღრმავებს რეალობისგან ჩამოშორებას. „რეალობა“, რომელსაც ნაბოკოვი ყოველთვის ბრჭყალებში სვამდა, მის შემოქმედებაში წარმოადგენდა პირობითს. იგი მთლიანად ექვემდებარებოდა მხატვრული ტექსტის სიმართლეს, რომელსაც აღტერნატიული სამყაროს შემოქმედი, ვლადიმერ ნაბოკოვი თამაშით ქმნიდა. მის მიერ რეალისტური ტრადიციის უარყოფა იმდენად რადიკალურია, რომ თავდაპირველად ამერიკელმა მკითხველმა ეს ვერ შეამჩნია. ამერიკულმა საზოგადოებამ სერიოზულად აღიქვა პედოფილის აღსარება, რომელსაც ავტორი თანაუგრძნობდა. უფრო მეტად კი აღმაშფოთებელია ის, რომ ავტორი მკითხველსაც აიძულებდა თანაგრძნობას. გამოქვეყნებისთანავე რომანი „ლოლიტა“ იქცა სექსუალურ ბესტსელერად.

„ლოლიტას“ შექმნისას ნაბოკოვმა გამოიყენა საკმაოდ ცნობილი პოსტმოდერნისტული ხერხი – რომანის ტექსტში მწერალმა ჩადო დაშიფრული, საკმაოდ ღრმა აზრი. ლიტერატურულად მოუმზადებელი „მასობრივი“ მკითხველი მას აღიქვამდა, როგორც ნახევრადპორნოგრაფიულ ნაწარმოებს, როდესაც ლიტერატურულად მომზადებული მკითხველი მასში ხედავდა სიმბოლურ ტექსტს და უდგებოდა ფილოსოფიური კუთხით. ცხადია, რომ გმირის მიერ გაუდერეზული ავტორის გზავნილი – „მე არ მაინტერესებს სქესობრივი საკითხები“ – ყურადღების გარეშე დარჩა.

პოსტმოდერნიზმი იყო XX საუკუნის პირველი და უკანასკნელი მიმდინარეობა, რომელმაც ღიად აღიარა, რომ ტექსტში აისახებოდა არა რეალობა, არამედ მასში წარმოიქმნებოდა სრულიად ახალი რეალობა, უფრო სწორად კი, მრავალი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რეალობა. პოსტმოდერნიზმმა უარყო კლასიკური მოდერნიზმის მთავარი ოპოზიცია – ნეომითოლოგიური ოპოზიცია ტექსტსა და რეალობას შორის, რითაც უსარგებლო გახდა მათ შორის საზღვრების ძიება: რეალობა საბოლოოდ უცნობი იყო და ამავე დროს არსებობდა მხოლოდ ტექსტში. კლასიკური მოდერნისტული ინტერტექსტის ადგილი დაიკავა ჰიპერტექსტმა, რომლის მიხედვითაც, ტექსტი გარდაიქმნებოდა სისტემად, იერარქიად, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა მთლიანობასა და მრავალი ტექსტის ერთობლიობას. როგორც აღნიშნავენ, პოსტმოდერნისტული ფილოლოგია წარმოადგენს ციტატების უსასრულო ძიებას ამა თუ იმ მხატვრულ ტექსტში. პოსტმოდერნისტული აზრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე, რასაც სინამდვილედ აღვიქვამთ, სინამდვილეში წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენას მის შესახებ, რომელიც დამოკიდებული იყო მკითხველის თვალთახედვაზე. აქედან გამომდინარე, ადამიანის აღქმა დამოკიდებული ხდება მულტიპერსპექტივიზმზე – რაკურსების მუდმივ ცვლილებაზე, რაც შეუძლებელს ხდის მისი არსის შეცნობას.

პოსტმოდერნიზმის განხილვისას, ხშირად მოიხსენიებენ ვლადიმერ ნაბოკოვს, როცა განიხილავენ ნაბოკოვის ინგლისურენოვან ტექსტებს. ცნობილია, რომ პოსტმოდერნისტები არა მარტო ცოდნას გამორიცხავენ, არამედ თავად სამყაროს არსებობას აყენებდნენ ეჭვქვეშ.

ძირითადი ნაწილი

ნაბოკოვისეული ტექსტი წარმოადგენს ურთიერთგანპირობებული და ურთიერთგანმაპირობებელი კომპონენტების ერთიანობას და ამიტომ მიზანშეწონილია მისი განხილვა თამაშისეული სტილის პოზიციიდან, ამ სისტემის თითოეული კომპონენტის დახასიათებით. ამ შემთხვევაში ფონეტიკური ასპექტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ვ. ნაბოკოვის სტილისთვის დამახასიათებელია ფონეტიკური თამაშის საკმაოდ ვირტუოზული გამოყენება. რომანში „ლოლიტა“ საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოჩენილი მისი ფონეტიკური თავისებურება ანუ ხაზგასმულია ტექსტის ხმოვანი ორგანიზაციის თავისებურება. ეს თავალსაჩინოა როგორც ინგლისურენოვან „ლოლიტაში“, ასევე მის რუსულენოვან თარგმანში.

თავდაპირველად ნაბოკოვს ლოლიტას ნაცვლად, შერჩეული ჰქონდა სახელები: ხუანიტა, ჟუანიტა, დარკი. მოგვიანებით კი მწერალი ლოლიტას შერჩევას ხსნიდა იმით, რომ მას სჭირდებოდა კინობითი სახელი, ლათინური მელოდიური უღერადობით. როგორც მწერალი ხსნიდა, „ღ“ ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ასო იყო. სუფიქსი „იტა“ კი სწორედ იმ ლათინურ სირბილეს შეიცავდა, რაც მას სჭირდებოდა. მწერალი ასევე აღნიშნავდა იმას, რომ სინაზის სასურველი ეფექტის მისაღწევად, უკეთესი იქნებოდა „ლ“ და „ტ“ იბერიული ინტონაციით წარმოთქმულიყო და არა ამერიკულად.

“Lolita, light of my life, fire of my loins. My sin, my soul. Lo-lee-ta: the tip of the tongue taking a trip of three steps down the palate to tap, at three, on the teeth. Lo. Lee. Ta. She was Lo, plain Lo, in the morning, standing four feet ten in one sock. She was Lola in slacks. She was Dolly at school. She was Dolores on the dotted line. But in my arms she was always Lolita;” [Nabokov 1997: 9]

“Лолита, свет моей жизни, огонь моих чресел. Грех мой, душа моя. Ло-ли-та: кончик языка совершает путь в три шажка вниз по нёбу, чтобы

на третьем толкнуться о зубы. Ло. Ли. Та. Она была Ло, просто Ло, по утрам, ростом в пять футов (без двух вершков и в одном носке). Она была Лола в длинных штанах. Она была Долли в школе. Она была Долорес на пунктире бланков. Но в моих объятиях она была всегда: Лолита.” (<https://bookz.ru/authors/nabokov-vladimer/lolita/1-lolita.html>)

ტექსტში ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ხელოვნურად არის შედგენილი, ზოგიერთი მათგანი ორენოვან მნიშვნელობას ატარებს და ასევე გააჩნია ემოციური დატვირთვა. მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟის სახელია ბიანკა შვარცმანი. იტალიურად ბიანცო ნიშნავს თეთრს, ხოლო გერმანულად schwarz – შავს. ჰუმბერტი ერთხელ ასხენებს Pavor Manor, რაც ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს საშინელებათა სასახლეს. ასე არის ნახსენები ქუილთის საგვარეულო სასახლე. ზოგიერთი სახელი წარმოადგენს ჰუმბერტის ემოციებისა და შიშის გამოხატულებას. ასეთებია სახელწოდებები: ქილერის ქუჩა, დიკ სქილერი, ჰუნტერის ქუჩა (ინგლ. hunter- მონადირე). წარმოჩენილია ასევე ლიტერატურული აღუზიები: ფლოიდ ბაირონი, შერლი ჰოლმსი (კონან დოილი), ტრისტრამსონი (ლორენს სტერნის ტრისტამ შენდი).

„ლოლიტას ტუჩები ხასხასა ფერის პომადით შეელება და მუჭში საუცხოო, ბანალური, ედემურ-წითელი ვაშლი ეჭირა. მხოლოდ წინდები და ფლოსტები იყო საშინაო. მისი თეთრი საკვირაო ჩანთა მაგნიტოფონთან ეგდო. გული გამალებით ამიბგერდა, როდესაც ის დივანზე ჩემ გვერდით დასკუპდა (კაბა ჰაეროვნად აფრიალდა, შემდეგ – დაეშვა) და პრიალა ნაყოფით თამაშს შეუდგა: ზევით, მზის მტვერში ისროდა მას და მტვერვადი, ცარიელი, მოციმციმე ხმით იჭერდა. ჰუმბერტ ჰუმბერტმა ვაშლს ჰაერში ხელი სტაცა. „მომეციო!“ შემევედრა გონა და ხელისგულების ვარდისფერი მარ-

მარილო მომიშვირა. დავუბრუნე „ოქროს თესლი“. მან ის ჩაკბინა და სიფრიფანა აღისფერ კანში გახვეული ჩემი გული თოვლივით გალღვა.“ [ნაბოკოვი 2016 :89].

მოცემული პასაჟიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ იკვეთება რომანში არსებული ბიბლიური თემა. „ადამის, ევასა და ვაშლის“ თემა კვლავ მეორდება, როცა ლოლიტას „ყველაზე ხასხასა ჩითის კაბა ეცვა, რომელიც პატარა წითელი ვაშლებით იყო მოხატული.“ სწორედ ამ დღეს გამოჰყავს ჰუმბერტს დოლორესი ბანაკიდან და ეუფლება მას.

„ლოლიტას“ პირველი თავი გაჯერებულია აღუზიებით ედგარ ალან პოს პოემიდან „ანაბელ ლი.“ ასეთი ხშირი მინიშნება და ციტირება ედგარ ალან პოსთან შეიძლება იმით აგხსნათ, რომ ედგარი დაქორწინდა 13 წლის ვირჯინიაზე, რომელიც ტექსტშიც არის ნახსენები. ჰუმბერტს ხშირად მოჰყავს ისტორიული პიროვნებების მაგალითი, რომლებსაც ნიმფეტები უყვარდათ, მათ შორის ასახელებს: დანტეს და ბეატრიჩეს, პეტრარკასა და ლაურინას. ამ მაგალითების მეშვეობით, ჰუმბერტი ცდილობს გაამართლოს თავისი სიყვარული ნიმფეტების მიმართ.

ნაბოკოვი რომანში წამოწევს ორეულების თემას. ქუილთი (Clare Quilty) შეიძლება განვიხილოთ ჰუმბერტის ორეულად, თუმცა ეს ორი პერსონაჟი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. მაშინ, როდესაც ჰუმბერტი არის სწავლული, ჰუმანიტარი, ფრანგული ლიტერატურის შედარებითი ისტორიის ავტორი, გამომსახველობის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ქუილთი მხოლოდ კალამბურებისა და ერთი-ორი უნიჭო პიესის შექმნას ახერხებს. ქუილთის ამორალიზმი წარმოადგენს სარკეს, რომელშიც აირეკლება ჰუმბერტის ტანჯული ცნობიერება. ქუილთის მკვლევლობაც კი ვერ ათავისუფლებს მას. ჰუმბერტი ამ ტვირთისაგან კი არ თავისუფლდება, არამედ უფრო დიდ სიმძიმეს გრძნობს, რადგან ქუილთი,

როგორც ჰუმბერტი ამბობდა, იყო “with me, upon me, over me”. ეს აშკარაა იმიტომაც, რომ მთელი რომანის მანძილზე მას ტანჯავს და ყველგან დაჰყვება ქუილთის აჩრდილი.

ქუილთი ასევე ხშირად არის გაიგივებული შემდეგ პერსონაჟებთან – გუსტავ თრეფი, ვილაც დანტისტი, გასტონ გოდინი. მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს მწერლის თავისებურება. ნაბოკოვს ახასიათებს სიტყვებით თამაში, ამიტომ პერსონაჟების სახელებითაც ცდილობს მიგვითითოს მის პიროვნებაზე. Quilty-ის სახელს რომ დავაკვირდეთ, მხოლოდ ერთი ბგერის შეცვლით ის იქცევა guilty, ანუ დამნაშავე. ქუილთი ყველგან დაყვება ჰუმბერტსა და ლოლიტას, თითქოს ყველგან მახეს უწყობს და აქედან გამომდინარე, ჰუმბერტს ასოციაცია უჩნდება ბიძამისთან, გუსტავ თრეფთან (ინგ. trap ანუ მახე).

მთელი რომანი ერთ დიდ თამაშს წარმოადგენს. ზოგადად ეს სიტყვა ხშირადაა ნახსენები – ჰუმბერტი თამაშობს ფსიქიატრებთან, თამაშობს ჭადრაკს გასტონ გოსლინთან, თამაშობს დაჭერობანას ქუილთისთან. თუმცა ყველაზე საინტერესო მისივე აღიარებაა, რომ “I have only words to play with“.

ზოგადად მოცემულ რომანში გვაქვს აღუზია ედგარ ალან პოს სამ ნაწარმოებთან „ლენორე“, „ანაბელ ლი“ და „ყორანი.“ სამივე ლექსს აერთიანებს საერთო თემა, ახალგაზრდა გოგონას სიკვდილი. თუ გავერთიანებთ ჰუმბერტის ანაბელ ლის და ლოლიტას, ჩნდება მოლოდინი, რომ ლოლიტაც განწირულია. რომანის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ ჰუმბერტი იმყოფება ციხეში და აქედან გამომდინარეც, მოცემული ვარაუდი მყარდება.

რომანი მდიდარია ლიტერატურული ასოციაციებით. ჰუმბერტი ხშირად მოიხსენიებს ლოლიტას, როგორც „კარმენს.“ ჩვენთვის ცნობილია, რომ პროსპერ მერიმეს კარმენი ხოსეს მიატოვებს და ირჩევს ლუკას პიკადორს. ხოსე კი, შურისძიების მიზნით, კლავს

კარმენს. აქედან გამომდინარე, ავტორი მკითხველში აჩენს ლიტერატურულ ასოციაციასა და იმის მოლოდინს, რომ ლოლიტას იგივე ბედი ეწევა. ეს ლიტერატურული ასოციაცია იმითაც მყარდება, რომ ქუილთი ერთხელ სასტუმროში რეგისტრირდება, როგორც ლუკა პიკადორი. თუმცა ეს ერთ-ერთი ნაბოკოვისეული ხერხია, რის საშუალებითაც ცრუ მოლოდინს აჩენს მკითხველში.

„ჩემო კარმენ“, მივმართე გოგონას (ზოგჯერ ასე ვეძახდი), „როდესაც ადგომის ნებას მოგცემენ, მივატოვოთ ეს გადაბუგული, მნთებარე ქალაქი“. „ჰოდა, ჩემი ნივთები მჭირდება“, წაიდუღუნა პატარა ხიტანამ“ [ნაბოკოვი 2016: 372].

მოცემული პასაჟის მიხედვით, ალუზია ალუზიაშია დამალული. თუ გავიხსენებთ, ჰუმბერტი ერთხელ ამბობს, რომ გოგოები მას რაღაცას უმზადებდნენ და „ურთიერთს ბასკურ თუ ზემფირულ ენაზე უთანხმდებოდნენ“. ბასკური ენა არსებობს, თუმცა ზემფირული, რაც მან ახსენა, წარმოადგენს ალუზიას ალექსანდრე პუშკინის პოემასთან „ბოშები.“ ზემფირა არის ერთ-ერთი გმირი პუშკინის „ბოშებიდან.“

აღსანიშნავია ნაბოკოვისეული სიტყვებით თამაში, რისი მეშვეობითაც მკითხველს უქმნის გარკვეულ განწყობას რომანის კითხვისას. როდესაც ჰუმბერტი საბოლოოდ ადგენს ლოლიტას ადგილსამყოფელს, ის იარაღით მიდის „ქილერის ქუჩაზე“, სადაც ლოლიტა ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის მკვლელობას ჩაიდენს, თუმცა შემდგომ ვხვდებით, რომ ეს ერთგვარი ხერხია მწერლისა და ის რომანში მკითხველს ხშირად უმზადებს მსგავს ხაფანგს. ამაზე მეტყველებს ჰუმბერტ ჰუმბერტის შემდეგი ფრაზა: „ლოლიტას მოკვლა (რასაც, ალბათ, ზოგიერთი მოელოდა) ვერ შევძელი. მე ხომ მიყვარდა ჩემი გოგონა: ეს იყო ერთი ნახვით, უკანასკნელი ნახვით, სამარადისო ნახვით გულში აღბეჭდილი სიყვარული.“ მიუხედავად ამისა, ნაბო-

კოვი აგრძელებს „კარმენტან“ ანალოგიას ჰუმბერტის ფრაზით: „აქედან შენს ნაცნობ ძველ ავტომობილამდე ოცი-ოცდახუთი ნაბიჯია. ძალზე ხანმოკლე გასეირნება მოგიწევს. გადაადგი ოცდახუთი ნაბიჯი და ტკბილად ვიცხოვროთ უკუნისამდე“ [ნაბოკოვი 2016:425]. რომანში უამრავი ნიუანსია, რაც გარკვეულწილად გვეკარნახობს სიუჟეტის განვითარების მიმართულებას. მაგალითად, თუ მკითხველი დააკვირდება დოლორესის ახალ გვარს, სქილერს, მიხვდება, რომ ჯერ კიდევ წინასიტყვაობაშია ნახსენები, თუ რა ბედი ეწევა მას, „რინარდ სქილერის ცოლს მკვდარი გოგონა გაუჩნდა და მშობიარობას გადაჰყვა – 1952 წლის 25 დეკემბერს.“ ასე რომ, უამრავი ალუზიისა თუ ლიტერატურული ასოციაციების მიუხედავად, მკითხველი შეიძლება დარწმუნდეს, რომ ლოლიტას სიკვდილი ჰუმბერტს არ უკავშირდება.

დასკვნა

ვლადიმერ ნაბოკოვი თავისი რომანით „ლოლიტა“ გმირებისგან სიმბოლოებს არ ქმნის. მწერალი ამბობდა: „ვიცი, მოიძებნებიან ნათელი პიროვნებებიც, რომლებიც “ლოლიტას” უშინაარსო წიგნად მიიჩნევენ, იმის მომიზეხებით, რომ იგი არაფერს გვასწავლის. ... ჩემთვის მოთხრობა ან რომანი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მანიჭებს იმას, რასაც უბრალოდ ვუწოდებ ესთეტიკურ ტკბობას, ხოლო, უკანასკნელი, თავის მხრივ, მე მესმის როგორც განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიც თავს ვგრძნობ – როგორღაც, სადღაც, რაღაცით – ყოფიერების სხვა ფორმებთან კავშირში, სადაც ხელოვნება (ე.ი. ცნობისმოყვარეობა, სინაზე, სიკეთე, სიმწყობრე, აღფრთოვანება) არის ნორმა“.

ვლადიმერ ნაბოკოვი კატეგორიულად გამოდირდა ლიტერატურის ხელოვნებაში საღი აზრის წინააღმდეგ. საღ აზრს ის

ამორალურს უწოდებდა, რადგანაც კაცობრიობის ბუნებრივი მორალი ირაციონალურია.

პოსტმოდერნისტული ეპოქა კრიზისული ეპოქაა, როდესაც ტრაგიკულსა და კომიკურს შორის ზღვარი იშლება და ხდება ღირებულებათა გადაფასება. „პოსტმოდერნიზმი არის კლასიკური ტექსტის ხელახალი წაკითხვა დეკონსტრუქციის გზით“.

ლიტერატურა

1. ნაბოკოვი ვ. (2012): ლოლიტა. თბილისის. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2. წიკლაური ხ. (2014): ლოლიტა – ნაბოკოვის პრობლემატური რომანი. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. Бойд Б. (2010): Владимир Набоков: американские годы. Симпозиум
4. Набоков В. (2011): Другие берега. Азбука-Аттикус
5. Набоков В. (1998): Лекции по зарубежной литературе. Изд. Независимая Газета
6. Набоков В. (2014): Искусство литературы и здравый смысл. Азбука-Аттикус.
7. Тамми П. (2001): Поэтика даты у Набокова. Старое литературное обозрение, №1(277)
8. Andrews D. (1999): Aestheticism, Nabokov, and Lolita. New York: Edwin Mellen Press
9. Appeal A. (1970): The annotated Lolita. New York: McGraw-Hill
10. Biggs M. W. (2010): The Case for Lilith: 23 Biblical Evidences Identifying the Serpent as Adam's First Failed Wife in Genesis. Samson Books
11. Connolly W. (2009): A Reader's Guide to Nabokov's "Lolita". Boston, MA: Academic Studies Press
12. Conradi P. J. (2001): The Saint and the Artist: A Study of the Fiction of Iris Murdoch. London: Harper Collins

13. Dolinin A. (1995): "Nabokov's Time Doubling: From The Gift to Lolita". Nabokov Studies

Деструкция литературных традиций в романе Набокова "Лолита"

Циклаური Хатуна Сергеевна

Университет Грузии

Департамент европейских языков и филологии

Ул. Костава № 77а, 0175, Тбилиси, Грузия

Тел: 599 541 462

E-mail: katia.tsiklauri@yahoo.fr

Резюме

Роман Вл. Набокова "Лолита" одна из самых скандальных романов, который дает возможность разносторонней интерпретации. Поэтому трудно передать его всеобъемлющую картину, раскрыть эстетическую систему, все задачи и неясности, что обнаруживается читателем в романе. Роман по сей день не теряет свою актуальность благодаря своей художественной ценности. В творчестве Набокова четко выявлена деструкция литературных традиций, что обусловлено целенаправленным пародированием, использованием постмодернических средств. Исходя из этого, прозу Набокова рассматриваем в контексте поэтических проблем, которые свойственны современной постмодернической прозе.

Ключевые слова:

постмодернистская философия, стилистические особенности, самоанализ, художественные средства, структурная многоплановость, аллюзия, рассказчик, техника расчленения.

Destruction of Literary Traditions in Nabokov's novel "Lolita"

Khatuna Tsiklauri

University of Georgia

Department of European Languages and Phylology

77a Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : 599 541 462

E-mail: katia.tsiklauri@yahoo.fr

Abstract

Vladimir Nabokov's "Lolita" is one of the most scandalous novels, which enables versatile interpretation, that's why it is difficult to understand all of its enigmas and uncertainties, its aesthetic systems and comprehensive essence. Because of its artistic

values the novel is always actual. The destruction of literary traditions is evident in Nabokov's works and it is due to purposeful parodies, flexible changes of classical genre models and usage of post-modern devices. Consequently, Nabokov's prose should be discussed in the context of poetic problems characteristic to modern post-modernistic prose.

Keywords:

Post-modernistic philosophy, stylistic peculiarities, self-analysis, structural multi-levelness, expressive means, allusion, narrator, techniques of fragmentation.

სოციალური მეცნიერებები

Social Sciences

Социальные науки

გრიგოლ I საისტორიო წყაროებსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

ლანა ფორჩხიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №1, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 595 889 608
E-mail: lanaporchkhidze@gmail.com

გიორგი ბუცხრიკიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №1, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ. 597 785 641
E-mail: giorgi.buckhrikidze129@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გრიგოლ I-ის ცხოვრება-მოდგაწეობის შესახებ არსებული ძირითადი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლ I-ის პიროვნება განიხილებოდა, ძირითადად, როგორც 1812 წლის აჯანყების მეთაური და მიმოიხილებოდა მისი ლიტერატურული და ფოლკლორისტული მოდგაწეობა.

საკვანძო სიტყვები:

გრიგოლ I, სამეცნიერო ლიტერატურა, წყაროები, ტექსტები, აქტები.

შესავალი

ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX საუკუნის საქართველოს ისტორია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, გაანალიზებულია ამ პერიოდის ცალკეული მნიშვნელოვანი

მოვლენები თუ პიროვნებები, თუმცა საკვლევი თემატიკის დაწვრილებით განხილვის დროს იკვეთება მთელი რიგი გარემოებები, რომელთა სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებული პიროვნების – გრიგოლ პირველის, იგივე გრიგოლ ბატონიშვილის ცხოვრება-მოდგაწეობის ცალკეული დეტალების შესწავლას. აღნიშნული ინტერესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც 2008 წელს გამოქვეყნდა პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის მონოგრაფია „გრიგოლ I, უკანასკნელი ქართველი მეფე“.

ჩვენი ნაშრომის მიზანი შედარებით მოკრძალებულია, შეგვეცდებით გაგანალიზოთ ამ პიროვნების ცხოვრება-მოდგაწეობის ასახვა საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში და შესაბამისად, ახსნა მოვუძებნოთ, თუ რატომ ხდება ამ პიროვნების იგნორირება.

საისტორიო წყაროებზე საუბრისას აუცილებელია მათი ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაყოფა: თეიმურაზ ბატონიშვილის „ახალი ისტორია“, დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია“, ჟანრობივი თვალსაზრისით, კლასიკური ტიპის ქრონიკებს წარმოადგენენ. მათში კარგად არის ასახული, ერთი მხრივ, ისტორიული წარსული, ხოლო მეორე მხრივ, ავტორის მსოფლმხედველობა, რაც თვალსაჩინოდ შედგენდება მათ დამოკიდებულებაში ამა თუ იმ საკითხისადმი. ბუნებრივია, ჩვენს ამჟამინდელ ინტერესს არ წარმოადგენს აღნიშნული

ავტორების შემოქმედების დეტალური განხილვა. ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა სახის ინფორმაციაა დაცული აღნიშნულ ავტორებთან გრიგოლ პირველის შესახებ.

თეიმურაზ ბაგრატი და დავით ბატონიშვილები გრიგოლ პირველს მეფეს არ უწოდებენ. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „ხ(ოლო) ოდეს შთავიდნენ თიანეთელნი მატანს, შემოეყარნენ მათ მატანელნი და ახმეტელნი და მოსწყიდნეს სრულიად მუნ მყოფნი რუსნი და რაოდენიმე ტუსისშვილებიცა დახოცეს მათ, რ(ამეთუ) ეპყრათ მათ კერძო რუსთა. სცენეს რა ესე ყოველივე კახთ, აღდგა შფოთი დიდი ს(რულია)დ კახეთსა შ(ინ)ა დაიწყეს სვრა ყოველთა სოფელსა რუსთი რ(ამე) კაცი იდგა მათ შორს იასაულად, ეგ ზეკუცია წოდებულად; მივიდნენ და მოადგნენ თელავს. მაშინ გარდაიყვანეს მეფის ძის იოანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა და მოკრიბენ ლეკნიცა ვ(იდრ)ე ოთხიათასამდე შეველად კახთა დაყვეს თვის ზედან კახთა თავად ქობულოვი ოთარ“. „მაშინ ზაზაცა, ძმაი ნინიასი შეუჩინეს გრიგოლს და გრიგოლ მოცთუნა ზაზამ ანდრონიკაშვილმან და მივიდა მარკიზის წ(ინა)შე“ „გარნა იხილა რა მარკიზმან, ვინადგან ვერ ძალობს პირისპირობაი კახთა, ევედრა ზავს და აღუთქვა კახთა, რ(ამე)ლ მოგვეგვიო მეფის ძეთა თქვენთა რუსეთით“ [ბაგრატიონი 1983:83].

რაც შეეხება დავით ბატონიშვილს, ის წერს: „მაშინ გარდაიყვანეს მეფის ძის იოანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა“. „მაშინ ზაზაცა, ძმაის ნინიასი შეუჩინეს გრიგოლს და გრიგოლი მოცთუნა ზაზამ ანდრონიკაშვილმან და მივიდა მარკიზის წინაშე“ [ბატონიშვილი 1941:44].

თეიმურაზ ბატონიშვილისა და დავით ბატონიშვილის ტექსტები არის იდენტური და ამიტომ განსხვავებულ ცნობებს არ გვაწვდიან, თეიმურაზის მსგავსად არც დავითი უწოდებს გრიგოლს მეფეს. აღნიშნულ მიზეზს სერიოზული კვლევა სჭირდება.

ამჯერად შეგვიძლია ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვათ, რომ ორივე ავტორის მიერ ამ ფაქტის უგულვებელყოფას პირადი მიზეზი აქვს, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ მეფობის ღირსები სწორედ ისინი იყვნენ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს არის მხოლოდ ვარაუდი და სანამ კონკრეტული რწმუნებულება არ გვექნება, იგი ვარაუდადვე დარჩება.

საინტერესოდ მიგვაჩნია ბაგრატი ბატონიშვილის დამოკიდებულება გრიგოლისადმი. განსხვავებით წინა ორი ავტორისგან, იგი გრიგოლის შესახებ უფრო ფართო ცნობებს გვაწვდის და მისი ცნობები უფრო მეტი ინფორმაციულობით გამოირჩევა. „მხილველთა თიანეთელთ ამა ტირანობიისათა აღადგინეს ამბოხი და მისი წყვეტა მუნ მყოფნი რუსნი, წარიყვანეს ქართულით ყრმა, მეფის გიორგის შვილიშვილ, იოანეს ძე გრიგოლ და ჩაიყვანეს კახეთს“. „გრიგოლ შიშვნეული წარვიდა ანწუხსა შინა და იყო თვე ერთი ლეკთა შორის“. მაშინ მიუწერა გრიგოლს ანწუხსა შინა მყოფსა და წარუვლინა ზაზა ანდრონიკაშვილი სახლთუხუცესი, მამისა მისისა და მიუწერა, რათა მივიდეს მის თანა, და არწმუნაცა უვნებლიყოფას მისი და აღუქვაცა შენობა ხელწიფისაგანი. მაშინ მსმენელ გრიგოლ წარმოემართა მარკიზისა კერძო თუმცადა გრიგოლს არა უტევებდნენ ანწუხელნი ერთგულების და გამო. რომელიცა აქვთ სურვილი პატრონისა ერთგულებისა გარნა არა არამსმენელნი მათი გრიგოლ მოვიდა მარკიზისა წინაშე თელავს, მხიარულ ქნა მარკიზი. და წარმოემართა ტვილის. მოსულმან ტვილისს, წარავლინა გრიგოლ რუსეთად“ [ბატონიშვილი 1941:118-120].

საისტორიო წყაროებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებს, სადაც დაცულია მეტად ძვირფასი ცნობები, სადაც კიდევ ერთხელ დასტურდება გრიგოლის მეფობა. საქართველოს მთავარმართე-

ბელი ფილიპ პაულუჩი, გრაფ რუმლან-ცოვისადმი გაგზავნილ მიმართვაში წერს: „მაქვს პატივი, გაცნობოთ, გარდა იმისა, რომ ღვთის წყალობით მოვახერხე გაღვივებული ცეცხლის ჩაქრობა, რომელიც წარმოიშვა უკიდურესი სისასტიკით, მე ჩემს ხელთ არსებული უფლებებით მივალწიე იმასაც, რომ დავატყვევე მეფე გრიგოლი, რომელიც კახეთის აჯანყებულებმა მეფედ აღიარეს.“

ეს მეფე საკმაოდ მნიშვნელოვანია, არა თავისი პირადი ღირსებებით, საბედნიეროდ არც ბუნებისგანაა დაჯილდოვებული, არამედ პატივისცემის გამო, რომელსაც ავლენს ამ მხარეში მცხოვრები მოსახლეობა მისი წარმომავლობის და უფლებების დამსახურებით“ [Акты 1873:44-45]. ვფიქრობთ, რომ რუსეთის წარმომადგენლობის მიერ გრიგოლის მეფედ აღიარება ბევრ რამეზე მეტყველებს და მისი ლეგიტიმურობის საკითხის კვლევისას მნიშვნელოვან ცნობას წარმოადგენს.

საინტერესოა ხელნაწერებში დაცული მნიშვნელოვანი ინფორმაცია გრიგოლ პირველის შესახებ. საუბარი გვაქვს მის პოეტურ შემოქმედებაზე, რაც წარმოდგენას გვიქმნის გრიგოლის პიროვნებაზე [კეკელიძე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი. ხელნაწერი №2130; №2178].

რაც შეეხება საკითხის ისტორიოგრაფიას, ის პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მეფის რუსეთის დროის, საბჭოთა პერიოდის და პოსტ-საბჭოთა პერიოდისა. თითოეულ მათგანს თავისი ეპოქისმიერი კონიუნქტურა გააჩნია, რაც მათი განხილვის დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს.

თავდაპირველად განვიხილოთ მეფის რუსეთის დროინდელი ქართული ისტორიოგრაფია. აქ განსაკუთრებით საინტერესოა პლატონ იოსელიანის თხზულება „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. ავტორი ფრაგმენტულ ინფორმაციას გვაწვდის გრიგოლის შესახებ და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება.

გაცილებით საინტერესოდ მიგვაჩნია ალექსანდრე ფრონელის „ამბოხება კახეთისა 1812 წელი. ისტორიული ამბავი“. ეს არის პირველ ნაშრომი, სადაც გრიგოლ პირველი მეფედ არის გამოცხადებული, „გრიგოლი კახელებმა მეფედ გამოაცხადეს, ხოლო როდის არა სჩანს“ „მეამბოხებმა მეფე იშოვნეს, დღეიდან მისის სახელით დაიწყეს ბრძოლა და სრული პროტესტი გამოუცხადეს რუსის მთავრობას, რომელმაც კახელების აზრით უკანონოდ და წინააღმდეგ ხელშეკრულებისა, მოშალა მეფობა და სამეფოს ნანგრევებზე ააგო კაპიტან – ისპრავნიკების, კამისიონერების და საეგზეკუციო კამანდების უფლება-ბატონობა.“ „ზემოთ მოვისხენიეთ, რომ კახელებმა მეფე ამოირჩიესო, ბატონიშვილმა დავითმა იძუნწა და არ შეატყობინა შთამომავლობას როდის ამოირჩიეს სად ან რა ცერომონით მეფე. მაყრიონს და ქორწილს რა ღაზათი აქვს თუ თავში „ნეფე“ არაა გამოჭიმული. კახელებიც ასე მოიქცნენ. ბევრი ძებნაც არ დასჭირვებიათ მეფის საშოვნელად, იქვე კახეთში ყოფილა ბატონიშვილი გრიგოლი იონეს ძე, თვით იოანე გიორგის ძე ამჟამად მოსკოვში იმყოფებოდა და როგორ დაავიწყდათ გრიგოლი და სხვებსავეთ როგორ არ უკრეს თავი რუსეთისკენ, ვერ გავიგეთ. გრიგოლი ერთადერთი ბატონიშვილია, რომელიც დავიწყებიათ მაშინდელ მთავარმართებლებს. დავიწყებული ჰყოლიათ თვით ქართველებსაც. თუმცა ბატონიშვილ დავითის უშიშროების გამო ქართველები ამ გრიგოლს ისე ექცეოდნენ, როგორც კანონიერ მემკვიდრეს“. „რაკი ხმა გავარდა მეფე ავირჩიეთო ყველამ ერთხმად იწამა და შეჰყვირა ერთგულება მეფობისთვის სიკვდილი და სამსახური“. „ბატონიშვილი გრიგოლი მალე შეეგუა ახალ თანამდებობას და კარგად შეითვისა მეფობა. კახეთის ეკლესიებში გრიგოლს იხსენიებდნენ როგორც კანონიერ მეფეს“. [ფრონელი 1907:99].

აღნიშნულ მონაკვეთში, რომელიც მე-

ტად საინტერესო პასაჟებს შეიცავს მეფის კურთხევის შესახებ, განსაკუთრებულად საინტერესოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ, როგორც ჩანს, მეფის ლეგიტიმაცია იმდენად მაღალი იყო, რომ მისი მოხსენიება ეკლესიებში დაუწყიათ. როგორც ჩანს, მისი კურთხევა რომელიმე მაღალი იერარქის მიერ უნდა მომხდარიყო, რასაც საეკლესიო (კანონიკური) სამართლის მიხედვით ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც კათალიკოსის კურთხევას [ბუმისი 2009].

საკითხის კვლევის თვალსაზრისით, საინტერესო მდგომარეობა გვაქვს საბჭოთა პერიოდში, როდესაც ქართულ სამეცნიერო აზროვნებაში გრიგოლის შესახებ ორი სახის ინფორმაციას ვხვდებით:

ა) გრიგოლ პირველი განიხილებოდა მისი ლიტერატურული შემოქმედების თვალსაზრისით. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ნინო მახათაძის ნაშრომი „ქართული კულტურის კერა პეტერბურგში“ [მახათაძე 1967]. აღნიშნული მიმართულების გაგრძელებას წარმოადგენს ლიანა კეკელიძის სტატია „გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება“ [კეკელიძე 1973:16-34]. გრიგოლ პირველის ფოლკლორისტული მოღვაწეობა შეისწავლა პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა [ჩიქოვანი 1975].

ბ) რაც შეეხება საისტორიო ნაწარმოებს, აღნიშნული პერიოდის მკვლევარი ავტორები დუმით გვერდს უვლიან აღნიშნულ საკითხს. ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილი თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში “ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.” მხოლოდ გაკვრით შეხსო აღნიშნულ საკითხს [ბენდიანიშვილი 1980:71].

ასევე ფრაგმენტული ხასიათის არის მაქსიმე ბერძნიშვილის ინფორმაცია, რომელიც მის შესახებ წერს: „გრიგოლ ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილის შვილი, კახეთის აჯანყებისას 1812 წ. საქართველოს მეფედ გამოცხადებული“ [ბერძნიშვილი. 1980:193].

საკითხის კვლევის მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა არც პოსტსაბჭოთა პერიოდში, სადაც გვხვდება გრიგოლის პიროვნების შესწავლა, ყურადღება ექცევა ისევ მის ლიტერატურულ შემოქმედებას [ბეპიევი 2006], საისტორიო თვალსაზრისით კი, 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, მასზე ყურადღება გამახვილებულია, როგორც ამ აჯანყების მეთაურზე [გელაშვილი 2003]. რაც შეეხება მის მეფობას, აღნიშნული საკითხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონოგრაფიულად შეისწავლა პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა და საქართველოს ახალი პერიოდის ისტორია კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით გაამდიდრა.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ პირველის პიროვნება საისტორიო წყაროებში და სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან საინტერესოდ აისახა, მასში თვალნათლივ გამოჩნდა ის კონიუნქტურა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხის კვლევის დროს არ არის გამორიცხული ახალი საინტერესო წყაროების აღმოჩენა. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რუსეთის არქივების და პერიოდული გამოცემების შესწავლა.

ლიტერატურა

1. Акты. (1873): Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Том V. Тифлис
2. ბაგრატიონი თ. (1983): ახალი ისტორია.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილი, თბ., „მეცნიერება“

3. ბატონიშვილი დ. (1941): ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. თამარ ლომოურის გამოცემა. თბ., „მეცნიერება“

4. ბენდიანიშვილი ა. (1980): ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბ., „მეცნიერება“

5. ბეპიევი ნ. (2006): გრიგოლ ბაგრატიონი (ცხოვრება და შემოქმედება). თბ., „უნივერსალი“

6. ბერძნიშვილი მ. (1980): მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტომი I. თბ., „მეცნიერება“

7. გელაშვილი ა. (2003): კახეთის 1812 წლის აჯანყება. თბ., „არტანუჯი“

8. ბუმისი პ. (2009): კანონიკური სამართალი. თბ., „ნათლისმცემელი“

9. კეკელიძე ლ. (1973): გრიგოლ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება, კრებული: „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, ტ. IV, თბ., „მეცნიერება“

10. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი, ხელნაწერი № 2130; № 2178

11. მახათაძე ნ. (1967): ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII-XIX სს.). თბ., „მეცნიერება“

12. ფრონელი ა. (1907): ამბობს კახეთისა (1812). ტფ.

13. ჩიქოვანი მ. (1975): ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. ტ. I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

14. ჯავახიშვილი ნ. (2008) გრიგოლ I, უკანასკნელი ქართველი მეფე. თბ., „უნივერსალი“

Grigol I in the historical Sources and Georgian Scientific Literature

Lana Porchkhidze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

1, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 595 889 608

E-mail: lanaporchkhidze@gmail.com

Giorgi Butskhrikidze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

1, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 597 785 641

E-mail: giorgi.buckhrikidze129@gmail.com

Abstract

The work deals with the main sources and scientific literature on the life and activity of the last King of Kartli-Kakheti Grigol I. The work is emphasized on the fact that Grigol I's personality in Georgian scientific literature was mainly regarded as the head of the revolt of 1812 and his literary and folklore work.

Keywords:

Grigol I, scientific literature, source, text, documents.

Григол I в исторических источниках и грузинской научной литературе

Порчхидзе Лана Мамукаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №1, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 595 889 608
E-mail: lanaporchkhidze@gmail.com

Буцхрикидзе Гиорги Малхазович
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №1, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 597 785 641
E-mail: giorgi.buckhrikidze129@gmail.com

Резюме

В работе рассматриваются основные источники и научная литература о жизни и деятельности последнего царя Картли-Кахети Григоля I. В работе подчеркивается тот факт, что личность Григоля I в грузинской научной литературе, в основном, рассматривалась как глава восстания 1812 года и она описывала его литературно-фольклорную работу.

Ключевые слова:

Григол I, научная литература, источники, тексты, акты.

მპარავთმძებნელი

ეკატერინე ძმანაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №53 ა, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 577 387 872
E-mail: ekaterine1973@gmail.com

რეზიუმე

მპარავთმძებნელი გახლდათ სასამართლო-სამძებრო ფუნქციებით აღჭურვილი ადგილობრივი მოხელე, რომელსაც ვვალდებოდა ქურდთა და ყაჩაღთა დევნა, შეპყრობა, გასამართლება და განაჩენის აღსრულება. მპარავთმძებნელები მოქმედებდნენ მეფის უშუალო მითითებით მათთვის განკუთვნილ ოლქებში. მათი ხელქვეითები იყვნენ „ჩენილნი“, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ დევნა-შეპყრობის ოპერაცია და დამნაშავენი მიეგვარათ მპარავთმძებნელისათვის, რომელიც უფლებამოსილი იყო დამნაშავე ადგილზე გაესამართლებინა და განაჩენიც სისრულეში მოეყვანა.

საკვანძო სიტყვები:

სამპარავთმძებნებლო, ჩენილნი, სასჯულო სამრებლო, მეკობრისმძებნელი.

შესავალი

საქართველოს სახელმწიფოს ყველა მკვიდრი ორ მთავარ სამოსამართლო უწყებას ეკუთვნოდნენ: უმეტესობა სამეფო სამოსამართლო დაწესებულებებს ექვემდებარებოდა, საეკლესიო ყმათაგან შემდგარი უმცირესობა კი საკათალიკოზო სამოსამართლო დაწესებულებებს ემორჩილებოდა. ქართულ ეკლესიას მაშინაც სასამართლო სფეროშიც,

უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული და საეკლესიო ყმები თვითონვე გასამართლებისა და განსჯის უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. საკათალიკოზო სასამართლოს ქართული ეკლესიის ყველა დაწესებულებათა მსახური და ყმები ექვემდებარებოდნენ. მათ შორის სამონასტრო ყმებიც, ორიოდვე სავანის გარდა, რომელთაც, შიო მღვიმის მონასტრის მსგავსად, განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა მინიჭებული და თავიანთი ყმების გასამართლების უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. [1: 336].

ძირითადი ნაწილი

„სასჯულო სამრებლო“ – ასე ერქვა ადრე სასამართლო უწყებასა და ოლქს. ეს ტერმინი დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი მიცემულ 1124 წ. ანდერძშია მოცემული, რომელშიც ნათქვამია: „ვითა წიმძღუარსა მსჯულისა ჩვენისა მეუფესა იოანეს ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა, სასჯულოდ სამრებლოდ არს ყოველთაგან, თვთ მემღვმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჯმაროს“ – ო. [ქისკ 1984:55]. ასე რომ ყველა სხვა ყმები, რომლებიც დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული ეკლესიის მცხოვრებნი არ იყვნენ ქართლის კათალიკოზის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ. დავით აღმაშენებლისაგან აგებული ეკლესიისათვის იოანე კათალიკოზს, მეფის პატივისცემისათვის განსაკუთრებული უპირატესობა მიუნიჭებია, საკათალიკოზოსა სჯულოსამრებლოთგან ამოუშლია და საკუთარი სამონასტრო მოსამართლის ყოლის უფლება მიუცია. ე.ი. სასამართლო შეუვალობა უწყალობებია. [ივ. ჯავახიშვილი 1984: 337].

გიორგი III-ის 1170 წლის შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ სიგელში ვკითხულობთ, რომ გიორგი მეფის მიერ მოწვეულმა საკანონმდებლო კრებამ განსაკუთრებული დანიშნულების სასამართლო დაწესებულება შექმნა, რომელსაც „სამართალი სამპარავთ-მეძებლოდ“ ეწოდება. „სამართალი სამპარავთმძებნელი არცა რაიწინაის შესრულა, ნუცა სადა აწ შეველენ ჩუენნი მპარავთ-მეძებელნი, თუინიერ თუ გარეთი ნაპარევი შე-ღა-ჯდესმღუიმისაგლესსა. თუ მრავალ-ჯერ ეპაროს მას კაცსა, ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა, ჩენილთა, ანუ გაპატიჯონ. და თუ გარდისუეწოსსხუაგან, სდევდენ ჩუენნი ჩენილნი. და მისსა საქონელსა თანა არაი საქმე-უც ჩუენთა მპარავთ-მეძებელთა, თუით მემღუიმისაჯელისუფალმან თაენი ნაპარევისა პატრონსა შეუქცივნეს და სამართალი წმიდისა უდაბნოისთუის აიღოს“-ო. [2:55]. ე.ი. საქართველოში განსაკუთრებული „მპარავთ-მეძებელნი“ ყოფილან, რომელთა მოვალეობას მპარავთა ძებნა, აღმოჩენა დევნა და გასამართლება შეადგენდა. ამათ გარდა ამავე საქმისათვის დანიშნული ყოფილან „ჩენილნი“, რომელთა მოვალეობას, ერთის მხრივ, მათი გასამართლების შემდგომ განაჩენის აღსრულება შეადგენდა. „მპარავთმძებნელნი“ უფროსი მოხელეები იყვნენ, „ჩენილნი“ კიდევ მათი ხელქვეშეთნი უნდა ყოფილიყვნენ.

მპარავთმძებნელნი უფრო ადრე ყოფილან, ვიდრე ეს სიგელში არის მოხსენიებული, ამას ცხადყოფს ამ სიგელში მოყვანილი ეს ცნობაც: „სამართალი სამპარავთ-მეძებლო არცა რაიწინაის შესრულა, ნუცა სადა აწ შეველენ ჩუენნი მპარავთ-მეძებელნი“-ო. თუ მპარავთ-მეძებელნი წინათაც შიომღვიმის სამფლობელოში არ შესულან, რადგან ამ მონასტერს შეუვალობა ჰქონდა, ცხადია, რომ მპარავთ-მეძებელნი წინათაც უნდა ყოფილიყვნენ და სხვაგან ყველგან ძებნა-შეპყრობის უფლება ჰქონიათ. ამიტომ, უეჭველია, 1170 წელს,

ახალი სამპარავთ-მეძებლო დაწესებულება და სასამართლო-კი არ ყოფილა შექმნილი, არამედ მეკობრეებისა და გაუსწორებელი ქურდებისათვის მკაცრი სასჯელი დაუწესებიათ და ამავე დროს ამ ბოროტმოქმედებათა ამოსაფხვრელად და დამნაშავეთა დევნის გასაადვილებლად „სამპარავთ-მეძებლო სამართლის“ თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი გაუფართოებიათ [1: 344]. როცა ბოროტმოქმედნი „ მივლენ ტყუენვად და ხოცად“ და „ანგაარებისათვის და მიხვეჭისა უცხოთა საფასეთასამოჰკულენ კაცთა უბრალთა“- ამას „მეკობრეობა“ და „ავაზაკობა“ ერქვა, ხოლო ამის მოქმედ პირს-მეკობრე. ამგვარად ქართული „მეკობრეობა“ ლათინურს *latrecimum*-ს უდრის.

მეკობრეობა, პარვა და რბევა ყოველთვის იყო და ყოველ შემთხვევაში არ ითვლებოდა ბოროტმოქმედებად: როცა, მაგალითად, საგვარეულო წესწყობილება სუფევდა, მაშინ მხოლოდ ერთსა და იმავე გვარის შვილობაში ითვლებოდა საძრახისადა და სამარცხვინოდ, თუ ამ გვარის-შვილი ამგვარ საქმეებს თავის თანამოგვარეთა შორის ხელს მიჰყოფდა, თუ არა და სხვა გვარის დარბევა, გაძარცვა, და გაქურდვა, თუნდაც ეს ნავარდობა მკვლელობით დამთავრებულიყო კიდევ, ეს ისეთ საქებურ და სასახელო გმირობად მიანდათ, რომ მეკობრეთა ასეთ ვაჟკაცობას ზოგჯერ ლექსითაც შეაქებდნენ და შეამკობდნენ ხოლმე. შემდეგ კი, როცა საგვარეულო წესწყობილება დაირღვა და თანდათან ერთმა სახელმწიფო მოქალაქეობრივობამ და მამულიშვილობამ მოიკიდა ფეხი, მაშინ ესეც საძრახისად შეიქმნა და ბოროტმოქმედებად იყო აღიარებული. სამაგიეროდ სხვა, მეზობელი სახელმწიფოს მცხოვრების გაძარცვა დანაშაულობად არ ითვლებოდა. თანამედროვე განათლებულმა ერებმა და სამართალმა ეს ველურობის ნაშთიც დაგმეს და ვაჟკაცობის სახელი ასეთი მოქმედებისათვისაც აკვაცობის სახელად შეუცვალეს.

VIII-XIII სს. საქართველოში საგვარეულო

წეს-წყობილება დიდი ხანია დარღვეული იყო და თანამემამულის გაქურდვა, გაძარცვა და დარბევა, მით უმეტეს მეკობრეობა, ბოროტმოქმედებად ითვლებოდა: სამართალი მკაცრად სჯიდა დამნაშავეს. რასაკვირველია, ქვეყნის აშლილობისა და მტრების შემოსევის დროს ამგვარი ბოროტება უფრო გახშირებული იქნებოდა, ვიდრე სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს.

მე-XII-ე საუკუნეში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დამშვიდებული იყო და პარვა და ავაზაკობა უკვე იშვიათი მოვლენა იყო. თამარ მეფის ისტორიკოსი (ისტორიანი და აზმანი შარვანდეთანი) გაზვიადებით მოგვითხრობს კიდევ: „უამთა მისთა არა იყო მიმძლავრებელი, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი“-ო. მაგრამ ასეთი მყუდროება საქართველოში გიორგი III-ის დროს მოწვეულ საკანონმდებლო კრებას მკაცრი სასჯელის დაწესებით დაუმყარებია. ამაზე ვარდანს თავის მსოფლიო ისტორიაში შემდეგი საგულისხმო ცნობა აქვს:

„619 წელს (—1170წ.) გიორგი (მეფემ თავის) ქვეყანაში მპარავი და მეკობრე მოსპო. რადგან ყოველთა ღაშქართა თანადგომითა სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოვლისა კაცისა ძელზე აღბმა და ჩინებულთაგან მრავალნი ძელზე ჩამოახრჩვეს. ნაპოვნი ნივთი კი მიჰქონდათ და სასჯელის ძელზე ჰკიდებდნენ. ახრჩობდნენ პირუტყვებსაც კი, ძაღლსა და თავგსა. ყველას შიშის ზარი დაეცა და დამყარდა დიდი მშვიდობიანობაო“. [1: 346].

სამართალი ასევე მკაცრად ეპყრობოდა მეკობრეს. ავაზაკს მისაგებელად ის სასჯელი ენიშნებოდა, „ძველისა სჯულისა რომელი ძეს ავაზაკთა ზედა-ძელსა ზედა ჩამორჩობა“. (ბასილი ეზოსმოდვარი). თამარ მეფის დროს ყოველგვარი დანაშაულებისათვის იყო სასჯელი შემცირებული, სიცოცხლის მომსპობელი და ადამიანის დამასახიჩრებელი მისაგებელი ამოკვეთილი

იყო, მხოლოდ მეკობრეობისათვის იყო კვლავ მკაცრი სასჯელი.(ისტორიანი და აზმანი შარვანდეთანი).

ამგვარად სისხლის სამართლის ორი, იმ დროისათვის, ეტყობა, სხვებზე უფრო ხშირი და მშვიდობიანი ყოფა-ცხოვრების დამრღვევი, დანაშაულებისათვის განსაკუთრებული სასამართლო დაწესებულება შეუქმნიათ. თუმცა მოგვიანებით, XVI საუკუნეში, მეკობრეთმძებნელთა, რომელნიც უეჭველია მპარავთმძებნელთა შესატყვის სახელს წარმოადგენს, კომპეტენცია უფრო ფართოა, ვიდრე მათი სახელისა და გიორგი III-ის სიგელის თანახმად მოსალოდნელი იყო. კერძოდ, მათ მთელი „სასისხარი საქმე“, ანუ სისხლის სამართლის საქმეები ჰქონიათ დაქვემდებარებული.

გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში შიო მღვიმისადმი კარგად ჩანს „სამპარავთმძებლო სამართლის“ მოქმედების არეალში მპარავთმძებნელებს უფლება ეძლეოდათ ქურდობაში რამდენიმე გზის შემჩნეული პირი სიკვდილით დაესაჯათ („ანუ ჩამოარჩონ ჩუენთა ჩენილთა, ანუ გაპატიჟონ“). როგორც ჩანს, თამარის დროინდელი სამეფოს სამაგალითო მშვიდობა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ლაშა გიორგის მემატიანე, საერთო კეთილდღეობასთან ერთად მპარავთმძებნელთა ინსტიტუტის მკაცრი და უკომპრომისო მოქმედებების შედეგიც იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში სახელმწიფო ინსტიტუტების როლის საყოველთაო დაქვეითება მპარავთმძებნელთა ინსტიტუტის მოშლაშიც (განსაკუთრებით მთის რეგიონებში) გამოხატულა, რის გამოც გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) „ძველისდებაში“ სპეციალური მუხლი შეუტანიათ მეკობრეობის მდევნელთა საშეღავათოდ. კერძოდ, თუ მეკობრე მის მდევნელს წინააღმდეგობის გაწევის გამო შემოაკვდებოდა, იგი (მდევნელი) თავისუფალი იქნებოდა მისი (მეკობრის) სისხლის საურავისაგან.

XVI ს-ის ბოლო ათწლეულშია შედგე-

ნილი სვიმონ I-ის განწესება მპარავთმძებნელთადმი. დოკუმენტიდან მკაფიოდ ჩანს, რომ მპარავთმძებნელებისგან საზღვრული ჰქონდათ ოლქები, სადაც შეეძლოთ ჩაეტარებინათ სამძებრო ოპერაციები. მოცემული განწესების მიხედვით, სვიმონმა ორი მპარავთმძებნელი – გოშვარ ჯავახიშვილი და ყარაივათ ლარასძე განაწესა „დიდის ზემოთ ახალდაბის თავამდი“. განწესებაში მკაფიოდაა გამიჯნული დანაშაულთა კატეგორიები, რომელთა გასამართლების უფლება მპარავთმძებნელებს ადგილზე ენიჭებოდათ (ქურდობა, ჩხუბის დროს მიყენებული სხვადასხვა დაზიანება), იმ კატეგორიებისაგან, რომლებიც უსათუოდ სამეფო კარზე უნდა განხილულიყო (მკვლელობა, მიიმე კატეგორიის ქურდობა-ყაჩაღობა [3:249].

დასკვნა

ვფიქრობთ, რომ მპარავთმძებნელი, საკმაოდ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მოხელეს წარმოადგენდა. ამ თანამდებობის შემოღებამდე საქართველოში კრიმინოგენული ვითარება გაიზარდა. სავაჭრო ქარავნებსაც ძარცვავენენ. რაც ქვეყნის ფინანსური შემოსავლის ყოფნა-არყოფნის საკითხზე მეტყველებდა. მპარავთმძებნელები ძალიან დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდნენ, რის შედეგიც იყო, რომ მოკლე ხანში მათ ბევრი დანაშაული აღმოფხვრეს. მპარავთმძებნელები მეფის უშუალო დაქვემდებარებაში იყვნენ და მისი ბრძანებით მოქმედებდნენ, საგანგებო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი. მპარავთმძებნელებს თავისი განსაზღვრული ოლქები ჰქონდათ გამოყოფილი და უკეთ იცნობდნენ იმ დაქვემდებარებული მხარის კრიმინოგენულ სიტუაციას. რაც იმის საშუალებას აძლევდათ, რომ დამნაშავე ადგილზე გაესამართლებინათ და განაჩენიც სისრულეში მოეყვანათ.

ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი (1984): ივ. ჯავახიშვილი – ქართველის ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. თბ. ტ.VII. 1984.
2. ქისკ-ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი-შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა; თბ.1984.
3. ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (2017): შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზია სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი). თბილისი.

Thief-finder

Ekaterina Dzmanashvili
Georgian Patriarchal St. Andreas First-Called
University
53rd Chavchavadze av., Tbilisi, Georgia
Tel.: 577 387 872
E-mail: ekaterine1973@gmail.com

Abstract

Thief-finder – local officer authorized with forensic-investigation functions, who was obligated to pursue, arrest, trial and execution of judgment of thieves and robbers. Thief-finders acted on the basis of King’s direct orders. Their subordinates were “The assigned”, who had to carry out the persecution and arrest of the perpetrators and bring them to the Thief-finder, who was authorized to persecute the perpetrator on the site and to carry out the persecution.

Keywords:

Thief-finding, the assigned, legal finder, pirate finder.

Искатель воров

Дзманашвили Екатерина Мерабовна
Грузинский патриарший университет Андрии
Первозванного
Пр. Чавчавадзе №53а, Тбилиси, Грузия
Тел.: 577 387 872
E-mail: ekaterine1973@gmail.com

Резюме

Искатель воров - местный сотрудник уполномоченный с судебно-следственными функциями, который был обязан проводить преследование, арест, осуждение воров и грабителей и

исполнить судебных решений. Искатели воров действовали на основании прямых приказов короля. Их подчиненные были «назначенные», которые были должны осуществлять преследование и арест преступников и довести их до Искателя воров, который был уполномочен судить преступника на месте и осуществлять приговор.

Ключевые слова:

поиск воров, назначенные, юридический искатель, искатель пиратов.

პროზა

Prose

Проза

ნატო თხილავა

მოთხრობა

შვიდი წლის გოგონას საბედისწერო აღსასრული! – ეს საშინელი ტრაგედია არიზონაში დატრიალდა და შეიძლება სულ სხვაგან, მაგალითად არკანზასში ან ნებისმიერი ქვეყნის რომელიმე დიდ ქალაქში ან სოფელში მომხდარიყო! დედამ საკუთარი ხელით სიცოცხლეს გამოასალმა თავისი პირმშო, – მთელი ძალით ხელი დაარტყა! ბავშვი საფეთქლით დაეცა ფილაზე და აღესრულა.

საბრალო, საბრალო ემი! ერთხანს ქვაფენილზე ესვენა და მერე სახლიდან საკაცით გაასვენეს!–სითბო, სიყვარული, თანატოლებთან თამაში წყუროდა. –დედა! დედა! კუდში დასდევდა ლინდას; უნდოდა რაღაც გაემხილა მისთვის; – ვინ უყვარდა?! სულ დედას ხატავდა ბოლო დროს.

ექსპერტებმა ფოტოები გადაიღეს დანაშაულის ადგილზე. საგამოძიებო ჯგუფმა კვლევითი სამუშაო ჩაატარა. საშინელი დამნაშავე იმ საბედისწერო დღესვე გადაიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორში, თითის ანაბეჭდებიც აუღეს. მეორე დღესვე პათანატომიურად შეისწავლეს მოკლულის სხეული. ტვინში სისხლის ჩაქცევა! საგამოძიებო აგენტმა პროტოკოლში აღნუსხა ექსპერტის დასკვნა.

ერთხანს შვილს დასცქეროდა დედა, –შოკში იყო. მერე კედელზე ერთ წერტილს მიაშტერდა და მოდუნდა, გონება დაკარგა და დაეცა. აზრზე რომ მოვიდა, ძალა მოიკრიბა, გაბედა და შეატყობინა პოლიციას; ტელეფონზე ძლივს აკრიფა ბავშვობის მეგობრის – ადვოკატი სემის ნომერი. სემი იმ დღესვე მივიდა მასთან წინასწარი დაკავების იზოლატორში.

შვიდმა წელიწადმა განვლო ამ ტრაგედიის შემდეგ. დამნაშავემ სასჯელი მოიხადა და ახლა იგი შინ ბრუნდებოდა.

ადვოკატი სემი მოუსვენრად იჯდა სავარძელში, ლინდას უცდიდა; დროდადრო ხმადაბლა იმეორებდა სიტყვებს: Red Apple... Red Apple... – სახეზე კი ფიქრთა ის ცვლილება ესახებოდა, სიტყვებთან: Red Apple რომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

სემმა ხელები ჩამოიღო შუბლიდან და კბილებში გაჩრილ სიგარას მოუკიდა; მერე ფანჯარა შეაღო სამზარეულოში. ქუჩის სარეკლამო განათებები ფერად ათინათად აირეკლა მინაზე. სრულდებოდა საღამოს ცხრა საათი. ფანჯრის რაფას იდაყვებით ეყრდნობოდა სემი. ლინდას მოლოდინში მან ერთხანს მანქანები ითვალა. ზანტად გადიოდა დრო.

– მაინც ვინ იყო ფიქტიური მკვლეელი?! – ისევ და ისევ ამ შეკითხვას უბრუნდებოდა ადვოკატი. მინაზე ჟოლოსფრად აკიაფებული სარეკლამო განათება კი მას თითქოს წარმოსახვას უმძაფრებდა, –წარმოიდგინა: საბედისწერო წუთებში რა სასოწარკვეთით გაჰყვიროდა ლინდა – ემი... ემილია... ემილია... და უსუნთქველ ბავშვს ანჯღრევდა,

–ფერადკანიანსა და თმახუჭუჭას, ნარინჯისფერ კაბაში გამოწყობილს ! „ცოცხალია, ცოცხალი!“ – თავს ამაოდ ირწმუნებდა და მერე გახევდა. ლინდა გაქვავებული დასცქეროდა ემის. ბავშვს ბაგეებზე ჟოლოსფრად უბზინავდა პომადა (პროსექტურაში საცხი ფორმალინით მოწმინდეს), ხოლო სახეზე კი სისასტიკის კვალი ეტყობოდა! – ნუთუ ეს ლინდამ ჩაიდინა?!

სემს კინოკადრებივით თვალწინ გაუელვა ლინდასთან ერთად გამოვლილმა სიჭაბუკის დღეებმა: ღარიბების კვარტალში, სკოლაში, მდინარე კოლორადოს თვალწარმტაც შემოგარენში.

ვიტალური იყო ლინდა და მეოცნებე. სიღატაკეს, მშობლების ჩხუბს, სახლის აუტანელ ატმოსფეროს გაურბოდა, – მომღერლობაზე დაეწყო ფიქრი; გაზაფხულზე და ზაფხულში, ფრინველის გალობას ისმენდა ტყეებთან და მომნუსხველ ხმებს ბაძავდა; სემს აღაფრთოვანებდა ლინდას გულშიჩამწვდომი მელოდიები: შენ უკვე ხარ ვარსკვლავი! შენ არ უნდა დაიკარგო! – აგულიანებდა ლინდას. მამა კი სიმღერას უკრძალავდა ქალიშვილს, – ყელში ამოვიდა შენი სიმღერა... პურის ფულს შენვე უნდა შოულობდე, – უყვიროდა. – აქედან წავალ, აქედან წავალ... აუცილებლად სხვა ქალაქში გადავალ, – ზღუქუნებდა ლინდა.

სუსხიან დღეებში ხშირად მსხდარან: ლინდა და სემი მდინარის ნაპირზე. – ზამთარში ვერცხლისფრად ლაპლაპებდა კოლორადო. მოზარდები ბედნიერ მომავალზე ოცნებობდნენ: – შენ უკვე ხარ ბრწყინვალე მომღერალი... ვიცი... შოუ-ბიზნესში გაგიმართლებს და პოპულარული გახდები... მე მჯერა... მჯერა ამის“, – სემი არწმუნებდა ლინდას.

გამოხდა ხანი და სემი ჯარში გაიწვიეს. იქ იგი რაღაც სამხედრო ინტრიგაში გაება. ახლა თვალწინ წარმოუდგა – თვალცრემლიანი ლინდა ბაქანზე და შემდგომ, –როგორ ამოწმებდა ლინდა საფოსტო ყუთს მისი ბარათების მოლოდინში. სემს ახლა თითქოს ლინდას ბალადების გულშიჩამწვდომი ჰანგი მოესმა; –ნუთუ მკვლელი გახდა ლინდა?!

შემზარავი სახე ჰქონდა ლინდას იზოლატორში. გაუნელებელ ტკივილს აეტანა. სემთან სიტყვიერ კონტაქტში შესვლა უჭირდა.

–შოკშია! – წამში დაადგინა სემმა და თვალეებში ჩააშტერდა მეგობარს, – და თუ ფსიქიკური დარღვევა დაუდასტურდა, სამკურნალო დაწესებულებაში მოიხდის სასჯელს, – ადვოკატმა უმაღლეს სასჯელადსრულებითი კუთხით შეაფასა მომხდარი ფაქტი. მას „კლიენტის“ საგამოძიებო ორგანოებში დაცვა ჰქონდა განზრახული და გამამართლებელი ფაქტები ჭირდებოდა, – შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდა მეგობარს. დაკავებული კი დუმილით პასუხობდა, მაგიდასთან იჯდა მოდუნებული და წყალს წრუპავდა, მერე თითქოს გამოერკვა:

– ემი... ემი... ემილია... ის ცოცხალია... ცოცხალი... სუნთქავდა კიდევ... ძინავს... ძინავს, – თითქოს თავის გასამართლებლად და დასამშვიდებლად, ლინდა ამ აბსურდულ სიტყვებს აყრიდა სემს და თანაც, ნათქვამის შესტიკულადციით განმტკიცებასაც ცდილობდა.

– ჰო... ცოცხალია, – სემი ისევ ისე ჩააშტერდა ლინდას თვალეებში და თითქოს მისი რეალობაში დაბრუნება მოუნდა.

– ცოცხალი?! – გაიკვირვა ლინდამ, – მერე გახევდა და დადუმდა. მცირე ხნის შემდეგ,

მაგიდიდან წამოიწია, წამოდგა და ძეხნას შეუდგა, წელში ოდნავ წინ წახრილი... კიდევ მიაგნო... თითქოს მოუნდა მნიშვნელოვანი ხელნაწერი გადაეცა მეგობრისთვის, მაგრამ მალევე მუშტში მოკეცა ფურცელი და შეინახა ; დაჯდა და ხელები მაგიდაზე შემოაწყო. სემმა შენიშნა, პატიმარს ოდნავ შესამჩნევად უკანკალებდა მარჯვენა ხელი; ამჯერად არაფერი უკითხავს სემს, უბრალოდ, სიბრაღული დაეწერა სახეზე. სწორედ ამ დროს ლინდამ შეუსაბამოდ წამოიძახა: Red Apple ! – თითქოს რაღაც მოაგონდა და მერე თავი მაგიდაზე ჩამოდო. „ახლა აზრი არა აქვს დაკითხვას“, – იფიქრა სემმა და როცა წასასვლელად წამოდგა, სწორედ იმ დროს, ბადრაგმა მძიმედ შეაღო რკინის კარი და მიმსვლელს ანიშნა, რომ ამოიწურა ვიზიტის დრო. ბადრაგი ოცი წუთის განმავლობაში საჭვრეტელიდან უთვალთვალებდა ადვოკატსა და დამნაშავეს.

ადვოკატი სწრაფად გავიდა იზოლაციორიდან; კიბეზეც და ქუჩაშიც მას ყურში ჩაესმოდა პატიმრის სიტყვები: Red Apple... Red Apple...–, მნიშვნელოვანია! – რა უნდა იყოს?!“ – ფიქრობდა.

მერე სემმა ჯიხურში დილის გაზეთი შეიძინა. „ტრაგედია ბეიკერ–სტრიტზე“ – პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით დაებეჭდათ. საშინელმა სიახლემ ტალღასავით გადაუარა ქალაქს, – მასმედიაში გაუღერდა როგორც სკანდალი, ხოლო ხალხმა კი ის შოკისმომგვრელ უბედურებად აღიქვა, – ერთხანს გაცხარდნენ და მალევე დაცხრნენ.

დანაშაულის არდაფარვა სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებს თან დაერთო და შვიდი წლით თავისუფლების აღკვეცა მიესაჯა – მკვლელს.

მეგობარს არ ტოვებდა მეგობარი, – საპყრობილეში თვეში ერთხელ მაინც ნახულობდა და წვრილ ფულს, საკვებსა და საჭირო ნივთებს აწვდიდა. ისევ ბურანში იყო ლინდა, ისევ გაურკვეველობაში...

– თუ აქედან ცოცხალი გამოვედი, აუცილებლად ვიპოვნი იმ ნაძირაღას და პასუხს მოვთხოვ, – ლულუღებდა, მერე ბოთლიდან წყალს ისხამდა და წრუპავდა.

სემს ახლა თვალწინ ედგა მეგობრის სასოწარკვეთილი, ჩამოღვენთილი სახე, როცა ტყუილზე აგებული ლოგიკით თავის მართლებას ცდილობდა და თანაც, ოდნავ შესამჩნევად მხრებს იჩეჩავდა.

– მე... არ მომკლავს ემი...ის სხვა იყო... სხვა... სხვა... – არწმუნებდა ხოლმე სემს.

–სხვა? – როგორ თუ სხვა! – ვინ... –მკვლელი?! და თუ სხვამ მოკლა... მაშ ემი ცოცხალი როგორღაა?! – სემი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებული დეტალების დაზუსტებას ცდილობდა, პატიმარს კი მუდამ უცნაური ღიმილი ეფინა სახეზე.

ერთხელ, დამშვიდობებისას, მან თბილად გახედა სემს, ხელჩანთიდან გასაღები ამოიღო და ხელის კანკალით გაუწოდა.

–სახლის გასაღებია ეს... ზამთრის ტანსაცმელი წამომიღე, თუ შესძლებ.

სემი მერეც შეივლიდა ხოლმე ლინდას ბინაში (კონფისკაცია არ მომხდარა), საჭირო ნივთებს პოულობდა და სასჯელმისჯილთან მიჰქონდა. ემის აქსესუარს ხელს არ ახლებდა, – უწინდებურად ისევ ჰოლში ეწყო ემის შუხები და ლინდას ლაკის წითელი ფეხსაცმელიც იქვე ელაგა. საძინებელში: ამოყრილი უჯრა, მიყრილ–მოყრილი ტანსაცმელი, ჟოლოსფერი ფარდები და დამტვერილი ავეჯი–ყვევგან.

ტრაგედიის დატრიალებამდე, მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში ნახულობდნენ ერთმანეთს: ლინდა და სემი. ლინდა ბავშვს მეზობელთან ტოვებდა ; მეგობრები კაფე

„ფარშევანგში“ სხდებოდნენ, – იქ ყოველთვის ემის ისტორიებს ისმენდა სემი. ლინდა დაწვრილებით აღუწერდა მას, – თუ რა გაჭირვებით ზრდიდა შვილს, უმუშევრობისას... ბავშვს სოციალური დახმარებით კვებავდა, „მწვანე ჯვრიდან“ გამოჰქონდა ემისთვის ტანსაცმელი და მერე, საკონდიტროში გამყიდვლად როცა მოეწყო, დანაზოგით უკვე ძვირფას სათამაშოებსაც ყიდულობდა შვილისათვის.

სრულდებოდა საღამოს ცხრა საათი. სემი ნერვიულად აბოლებდა სიგარას. თითქოს მას რაღაც ძალამ უბიძგა და პოლში გავიდა. იგი იქ ერთხანს ბოლთას ცემდა. მერე კედელთან მიწობილი ემის ფეხსაცმელი აიღო, ცხვირი ხელით მოუსინჯა და შიგნიდან რაღაც სიმყარეს მიაგნო. შეანჯღრია ფეხსაცმელი და გადმოებრტყა. Red Apple – ოქროს ასოებით ზედ ეწერა იატაკზე დავარდნილ პომადის ფუტლარს; Red Apple... Red Apple ფიქრების კასკადი მიაწყდა სემს. ახლა ის სხვადასხვა განწყობით იმეორებდა სიტყვებს: Red Apple... Red Apple... რაც აცხადებდა ტრაგედიასთან დაკავშირებული ფიქტიურ ნიუანსებს და ვარაუდის მნიშვნელობას აკარგვინებდა. Black Moon, Blue Heaven, Magik Flower... – სემს მეხსიერებიდან ამოუტივტივდა პომადის სხვა ბრენდის სახელწოდებები... გახსნა პომადა, დაეწოდა და გულის ჯიბეში შეინახა. წარმოუდგა სურათი :

შვიდი წლისა შესრულდა ემი, როდესაც ლინდას მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა და თითქოს ხალისიც დაუბრუნდა, ზრუნვა ისევ მომღერლის კარიერაზე დაეწყო. დანაზოგით სანოტო რეჟულს ყიდულობდა და საკუთარ სევიდან მელლოდებს იწერდა. საღამოობით, როგორც კი ბავშვს სკოლა-ინტერნატიდან შინ მიიყვანდა, მაგიდაზე თითების კაკუნს იწყებდა და მღერას აყოლებდა ასეთ დაკრულს. დედის ყურადღებას რომ ვერ იპყრობდა, წუხდა ბავშვი, – ათას ხერხსა და ოინს იგონებდა, ყურადღების მისაქცევად, – ერთხელაც ვაშლის ხილ-ფაფით მოუსვარა მაგიდა და Red Apple-ი იცხო. „საშინლად დატუქსავდა ლინდა“, – ფიქრობდა სემი.

სრულდებოდა ათი საათი. სემმა დაინახა – ტაქსი შეჩერდა სადარბაზოსთან. ლინდა გადმოვიდა. მას კარის მეზობელი შეეფეთა სადარბაზოში და სახე მოარიდა. ლინდა ავიდა. ღია კარში მას სემი დახვდა. ცრემლი მოადგა სემის დანახვაზე. შევიდნენ. ლინდამ მყისიერ მზერა მიმოავლო ინტერიერს. – არაფერი შეცვლილა! – იფიქრა. საშინელი ტრაგედია გაუცოცხლდა წამში. არ უნდოდა შეტყობოდა.

– გმადლობ... გმადლობ სემ... აქ რომ დამხვდი, – მალევე თბილად მიმართა მეგობარს. სამზარეულოში შევიდნენ.

– ყველაფერი თან გაგყვება, თუ არ გაუშვი... – გაამხნევა სემმა, – მაგრამ...

სემმა მალევე ვისკი ამოიღო პარკიდან, ცოტ-ცოტა ჩამოასხა და ღიმილით მიმართა მეგობარს, –

– თქვი... თქვი... ყველაფერი ხმამაღლა თქვი და დამთავრდება... ბოლო მოეღება... ერთხელ და სამუდამოდ...

ლინდას დაეტყო, რომ უჭირდა, რაღაც მნიშვნელოვანი გაენდო მისთვის.

– ჰო, კარგი, მერე დავილაპარაკოთ, – მეგობრის ფიქრი წაიკითხა სემმა და მიუგო, – ახალ ცხოვრებას დაიწყებ, მეგობარო! – წამოდგა და წასასვლელად გაემზადა.

– დარჩი, სემ. ცოტა ხანს აქ იყავი. იცი, სემ... იქ სულ მთავარზე ვფიქრობდი... ყველაფერი თვალწინ მიტრიალებდა... – ემი! ემი!

– ჰო... ერთად გავაღოთ საფლავზე... ხვალ..., – უთხრა სემმა, – მთავარია... რაა

მთავარი?!

– ეჰ... აღარა აქვს მნიშვნელობა...ერთად წავიდეთ... ვუყიდი იებს... იებსაც მისატავდა ბოლო დროს. ძირითადად მე მხატავდა... დაგხედავდი მის ნახატებს და წამშივე უკან ვუბრუნებდი. ის კი ხევდა... ნაკუწებად აქცევდა და ნაგავში ისროდა. ზედგამოჭრილი მამამისი ვიყავი მის პორტრეტებში... მაგრამ, საოცარი ის იყო, რომ მეგონა, თვალითაც არ ენახა მამამისი, – თქვა ლინდამ და შეეყოვნდა და წამოიყვირა– შავი ჯო... შავი ჯო!!!

– შავი ჯო?!–მოჩვენებითად გაიკვირვა სემმა და იკითხა,–

–ვინ არის?!

ლინდამ ხელი აიქნია და მიუგო:

–შემთხვევით გავიცანი. კარიერაში დახმარებას დამპირდა.

–ცხრამეტისა ვიქნებოდი მე მაშინ... ან უფრო ნაკლების... შენ კი თექვსმეტისა იყავი, როცა ჯარში წავედი...–ჩაილაპარაკა სემმა.

– არკანზასში გადავედი ოჰაიოდან... მომდერლის კარიერის გაკეთება მინდოდა... ერთხანს გაჭირვებით ვცხოვრობდი... მერე ჯონს შევხვდი... დაპირებებით ამავსო... ბლუზს უკრავდა... შავ ჯოს ეძახდნენ თეთრები... ათასნაირ ავანტიურაში ყოფილა გაბმული... მერე გაირკვა... თავიდან... მოხიბლული ისმენდა ჩემს სიმღერებს... მერე... რატომღაც ბოლმა ერეოდა და მტოვებდა... და როცა ბრუნდებოდა, ისევ დაპირებებით მავსებდა... იმპროვიზაციებს აგებდა ჩემს მელოდიებზე... თავიდან მართლა მჯეროდა, რომ... ვუყვარდი.–ყვებოდა ლინდა.

სემი დაფიქრდა და მყისიერად შეუდგა ლინდას მიერ მიწოდებული ინფორმაციის შევსებას, –გაუცოცხლდა სურათი:

შვიდი წლისა იყო ემი. სკოლა–ინტერნატიდან შინ მოსული, წვალებით ამზადებდა გაკვეთილებს და მერე თავს ხატვით იქცევდა, – მზეს, ყვავილს, ვარსკვლავს ხატავდა და ერთხელაც დედა დაეხატა. ლინდა დაკვირვებით დააცქერდა ბავშვის ნახატს და ფიქრმა გაუელვა: ეს მე არა ვარ... ეს შავი ჯოა! საზიზღარი! – და უცებ, ჯოს ხრინწიანი ხმა მოესმა: “შენგან ვარსკვლავი არ გამოვა... უჩემოდ... არაფერი ხარ შენ... უჩემოდ“. ბავშვი კი წკრიალა ხმით უმტკიცებდა დედას, –

–ეს შენ ხარ... შენა ხარ... დედი...

–უეჭველი ნახულობს მამამისს, – დედა ეჭვმა შეიპყრო და არც აუგი უთხრა შვილს და არც რამე საქებარი. ლინდას შურიანი თვალებით შავი ჯო შესცქეროდა შვილის ნახატიდან.

სრულდებოდა თერთმეტი. სემი წავიდა. პირველზე დაწვა ლინდა და მანამდე, ჟოლოსფერი ფარდა გამოცვალა საძინებელში. სულ ემი ედგა თვალწინ. ცრემლებს მუშტით იწმენდა. მთელი დამე თეთრად გაატარა. დამით... მესსიერებაში გაუცოცხლდა ჯონთან ბოლო შეხვედრის დეტალები, –

ბოლო შეხვედრისას სკვერში ისხდნენ ლინდა და შავი ჯო. გუბეში ზანტად დაცურავდნენ გედები. მეეზოვე სკვერს ასუფთავებდა. იქ ხალხი ცოტა იყო დილის საათებში.

–გიყვარვარ? – ჯოს აღელვებით ჰკითხა ლინდამ. უკვე ორი თვის ფეხმძიმედ იყო ემზე.

–ჰმ... ხუმრობ, – სიცილით შესძახა ჯონმა და ხელი აუქნია, – ყველაფერს

გავაკეთებთ... გაფრთხილებულები არიან... ჟიურის წევრები... ასიანი გახვალ შესარჩევ მოსმენაზე... მთავარია... სიმღერა ჩავწეროთ და ფულს ავიღებთ... ვარსკვლავო...

–გიყვარვარ?–განმეორებით ჰკითხა ლინდამ, –ახლა უფრო გამომცდელად.

–ჰო... ხომ იცი... – ახლა საათს დახედა ჯონმა და ქალს მიუგო, –სადამოს დაგირეკავ... ვჩქარობ... სწორედ შენს საქმეზე გავრბივარ... ჩასაწერად მოემზადე... ფულს მოგვიტანს... მომღერალო.

–აღარ დარეკო! – გადაჭრით მიახალა ლინდამ. მიხვდა, – აზრი არ ჰქონდა ბავშვზე ლაპარაკს.

ჯონს ოდნავი დაბნეულობა დაეტყო; ძებნას შეუდგა ჯიბეებში. მცირე ხნის შემდეგ, ყალბი გაკვირვებით იკითხა, –

– ხომ მშვიდობაა, Baby??? –

–თვალთ აღარ დამენახო!–მიახალა ლინდამ. ჯომ აგრესიულად აუქნია ლინდას ხელი, –კონტრასტად გამოუჩნდა ვარდისფერი ხელისგული; მერე ქალადის მომცრო პაკეტი ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან და ლინდას მიაჩქია.

–დაწყნარება გჭირდება... ძვირფასო... უნდა მოდუნდე !

–აღარ დარეკო! – შეუყვირა ლინდამ და ჯოს სახეში შეახალა პაკეტი. მერე ლინდა სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

შინ მიმავალს აგონდებოდა, – პირველ ხანებში კარგად წაუვიდა საქმე, ბარში მომღერლად აიყვანეს, ფულსაც შოულობდა, თაყვანისმცემლებიც გამოუჩნდნენ და შავი ჯოც გაიცნო. ჯონი მას ჩამწერ სტუდიასთანაც კონტრაქტის გაფორმებაში დაეხმარა. თავდაპირველად მადლიერი იყო ლინდა ჯონის. ჯო კი ნახვამი ან ნარკოტიკით გაბრუებული ხშირად აყვედრიდა ლინდას გაწეულ დახმარებას და ცინიკურ მონოლოგებსაც უკითხავდა: თუ როგორ ამოათრია „ მომავალი ვარსკვლავი“ ჭაობიდან და მომღერლად აქცია, – რომ ლინდას „ვარსკვლავურ“ პერსპექტივას მომავალი არ ეწერა, მის გარეშე ; ქალისადმი ასეთ მიმართებას იუმორში ნიღბავდა ჯონი; პირველ ხანებში ეს თითქოს მოსწონდა კიდევ ლინდას და ჯოს კვიმატ ენას მიაწერდა ამ ყველაფერს; თუმცა, გულის სიღრმეში რაღაც ხინჯსაც გრძნობდა და მაინც თავს იტყუებდა: „არა... არა... ვუყვარვარ ჯონს... მე მჯერა... მჯერა... ამის“ ჯო კი დაუდევრად ითვისებდა ლინდას ჰონორარს და „ამხნევებდა“ კიდევ ქალს: – იმღერე... იმღერე... ლინდა... შენ სიმღერისთვის ხარ დაბადებული!“ – მსგავს სცენებს ყოველთვის ვნებიანი კოცნა ახლდა თან და იქვე ნარკოტიკიც და მერე – ნარკოტიკთან დაკავშირებული ინციდენტი, პოლიცია... პოლიციისგან თავის დაღწევა... სრული წარუმატებლობა კარიერაში... პროდიუსერებისგან უარი და სხვა...

–ახალ ცხოვრებას დავიწყებ! ბავშვს მარტოც გავზრდი! – თავს შეუძახა ლინდამ, როცა ჯონს მოშორდა და სკვერიდან გამოვიდა. ბეიკერ სტრიტის გადაკვეთაზე შენიშნა ფირნიში – Red Apple და პომადების საფირმო მაღაზიაში შეიარა.შეარჩია ჟოლოსფერი პომადა, იცხო ბაგეებზე და „რედიკიულის“ სარკეში ჩაიხედა, –ახალ ცხოვრებას დაიწყებ! – ახლა თითქოს სხვა ენერგიით მიმართა თავს, – ლინდას მერეც საოცრად ახალისებდა პომადის ჟოლოსფერი, – ახალ ენერგიას მატებდა.

– Red Apple–?! – ის არაფერს ცვლიდა... კარიერა?! – ეჰ... არ ყოფილა მთავარი... ის უნდა დამეფასებინა, ვინც მყავდა, ვიდრე დავკარგავდი, – ემი ! ემი! – ფიქრობდა ლინდა შინ მისული და სახლს ალაგებდა. ჯერ მტვერი გადაწმინდა ოთახებში.

მერე კარადებიდან საკუთარი და ემის ტანსაცმელი: კაბები, შარვლები, ბლუზები გამოაღება და დახმარების ფონდში წასაღებად ჩააღება ჩანთებში. ემის შუბები პარკში მოათავსა, ლაკის წითელი ფეხსაცმელიც იქ ჩააწყო და ქუჩაში გავიდა. იქ მას ძველი ნაცნობი-ლიზა შეხვდა და კაფე “ფარშევანგში“ ისაღიღეს. შინ როცა ბრუნდებოდა, Red Apple-ის სარეკლამო აბრას წაკრა თვალი და მზერა მოარიდა, – ჟოლოსფრად აინთება... რვის მერე... სულ ესაა, – იფიქრა. აზრად არ მოსვლია – ყეიდა Red Apple-ი. შინ როცა მივიდა, სრულდებოდა ხუთი; სემთან შესახვედრად გამოეწყო.

– სემი შეიღზე მოვა, – ფიქრობდა, – ყველაფერს ვეტყვი. სემი რვისთვის მივიდა.

– სემ, სემ, სემ... – ლინდა ყელზე მოეხვია მეგობარს. ერთხანს მას გაკვირვებით უყურებდა სემი, – ცვლილება შეატყო. ფანჯარაზე თითქოს დამცრობილიყო ჟოლოსფერი ფანტომი.

სავარძელში ჩაეშვა სემი და ფეხი ფეხზე შემოიღო, სიგარას მოუკიდა და ოდნავ სევდიანი ღიმილით მიმართა მეგობარს, –

– არსებობს ერთი დრო... მეგობარო – მხოლოდ ახლანდელი... წარსულს არ უნდა შეეხალო... არსებობა ახლანდელ დროში უნდა შესძლო... არასოდეს იქნება გვიან... მაგრამ...

ერთხანს დუმდა ლინდა. მერე სიგარეტს მოუკიდა და თქვა, –

– იცი სემ... იქ... კამერაში რაღაც მინდოდა მეჩვენებინა... შენთვის – სემს გაახსენდა და არაფერი უკითხავს.

ლინდამ ხელნაწერი მოიტანა, დადო მაგიდაზე და მოყოლა დაიწყო, –

საშინელი წინათგრძნობა მაწუხებდა ბოლო დროს... იმ საშინელ დღემდე, სემ, აუტანელ სიზმრებს ვხედავდი... მაინცა და მაინც – ემის მამას–შავ ჯოს ვნახულობდი! მობილური... ყოველი შემთხვევისთვის... სასთუმალთან მედო. იმ დამესაც ზარმა გამომაფხიზლა კოშმარიდან... ისევ შავი ჯო რეკავდა... საშინლად მთვრალი... ხრინწიანი ხმით ილანძვებოდა... ბავშვის წართმევით დამემუქრა... და საკუთარ წარუმატებლობაც გადმომამბრალა... მიხვდი... არ ვუყვარდი... და უკანასკნელი სიტყვებით გამოვლანძღე... მე მის მამაკაცურ ღირსებას შევეხე... – ერთი ამოსუნთქვით ამოილაპარაკა ლინდამ და ოდნავ გულუბრყვილოდ იკითხა, – დღემდე ვერ ვხვდები... სემ... ემის შესახებ ვის უნდა ეთქვა შავი ჯოსათვის?!

სემი დუმდა. ლინდა ედგა თვალწინ, მკვლევლობის ჩადენის დღეს:

საშინელი წინათგრძნობა აწუხებდა ლინდას დილიდანვე. საკონდიტროში მისვლამდე, Red Apple-ში შეიარა. შეიძინა და იცხო პომადა და რედიკულის სარკეში პომადის ჟოლოსფერს დააკვირდა და ვერანაირი ცვლილება ვერ შეიგრძნო. წინათგრძნობა კარნახობდა: შენზე შურს იძიებს შავი ჯო! შავი ჯო! გარდა ამისა, იმაზეც წუხდა ლინდა, რომ, დაგვიანების გამო, იმ დღეს მას სამსახურიდან გაძევებით დამემუქრა შეფი. საღამოს, ამ პანიკური ფიქრებით ბრუნდებოდა სახლში და თან მყარად ჩაებლუჯა ემის ხელი, –

– ემს... ჯო უყვარს... ჯო უყვარს... ჯოო... მე ვიცი ეს... კიდევ ნახულობს... კიბეებთან ჩასაფრებულია ხოლმე... და... ბავშვს ხელის ქნევით უხმობს... გულის მოსაგებად... ტკბილეულს და წვრილ ფულს ჩუქნის... ამ ყველაფერს მერე მე ვპოულობ ემის აბგაში... – მსგავს ფიქრებში იყო დაძირული ლინდა, როდესაც ემმა თავი ონავრულად შეჰყო მის ოთახში და იკითხა, –

–რატომ არ მღერი?–

– რატომ არ ვმღერი?! – ლინდას ბრაზი მოერია.

სწორედ იმ დღეს, შავმა ჯომ – ვეებერთელა თოჯინა დაანახა ემს სკოლაში და დაჰპირდა, რომ იმავე საღამოს აჩუქებდა – ვეებერთელა “ბარბის“.

მამის ზარს ელოდა ემი... დედის მობილური ტუმბოდან გაიტაცა, საკუთარ ოთახში გადამალა და როდესაც სამზარეულოში გავიდა ლინდა, დრო იხელთა და ისევ შურდულივით შეიჭრა დედის ოთახში, გარნიტურის უჯრა გამოაღო, Red Apple–ი ამოიღო და ტუჩებზე წაისვა, შავ ჯოს რომ მოსწონებოდა და ლაკის წითელი ფეხსაცმელიც მოირგო... გამოიპრანჭა ნარინჯისფერ კაბაში... და ასე მორთულმა ჟრიაშული ატეხა დედის წინაშე.

– მე დღეს მამასთან წავალ... მე მამაც მიყვარსო.

შეძრწუნდა ლინდა, – მან ჯო იცნო ბავშვის სახეში და შვილს დაედევნა. ემი კი ჯიუტად წინ აღუდგა მას და ახლა ისტერიული წივილი მორთო: შენი ბრალია... შენი... შენი... მამა ჩვენთან რომ არ არისო.

– როდესაც გამოვფხიზლდი... სემ... უკვე იატაკზე ესვენა ემი... ჰოლში... ემი... ემილია... საბრალო! –ქვითინებდა ლინდა, – არ ვიცი... სიცოცხლე როგორ განვაგრძო... სემი დაღონდა. გულისჯიბიდან Red Apple–ი ამოიღო და ფრთხილად გაუწოდა მეგობარს:

– ეს გუშინ... ემის ფეხსაცმელში ვიპოვნე, – მიუგო. ლინდამ გაიოცა და წარმოთქვა:

–გმადლობ, სემ, გმადლობ... შეინახე როგორც ნივთბეჭეცება... ან სულაც გადაადგე... ეგ უკვე მორჩა...

–Red Apple, Red Apple, – ჩაეღიმა სემს, –უცნაური ბრენდია!

–სემ... მიჭირს ამის თქმა, მაგრამ... მართლა ასე იყო... ერთ მომენტში გავითიშე და მერე მე იქ შავ ჯოს.. მე იქ... მის აუტანელ ფანტომს... ვხედავდი... ჩემზე რომ იწევდა... ემს – არა... მე შავ ჯოს... ჯოს დავარტყი ხელი... ბოროტს... ბოროტს... ახლა... ბავშვს რომ მართმევდა, –გაიძახოდა ლინდა და ხელებით ჰოლისაკენ ანიშნებდა.

–ვიცი... ვიცი... ლინდა, ეგ ყველაფერი მე უკვე ვიცი, –თქვა სემმა.

ადუოკატი სიგარას აბოლებდა. ლინდა კი დუმდა და მერე მან მაგიდიდან მოკეცილი ფურცელი აიღო, გახსნა და ხელის კანკალით გაუწოდა მეგობარს. ბრაზმორეული ათვალიერებდა სემი ხელნაწერს, –ხელახლა და ხელახლა კითხულობდა, – ხედავდა:

მამა არ ურეკავდა ემს, – დედავდა ბავშვი, –ვერცხლის წყალივით წრიალი დაიწყო –დედის ოთახიდან ჰოლში და პირუკუ. “დედ–მამას ვარიგებ... დედ–მამას მე ვარიგებ“ – ამ ფიქრებით, შუხებიდან –გადამალული Red Apple ამოაძვრინა,მათემატიკის რვეულიდან ფურცელი ამოხია, გაფინა ქვაფენილზე და ჟოლოსფრად ზედ წააწერა: “მიყვარხარ... მე შენ მიყვარხარ... დედა... “, –დედას სასთუმალთან დაუდო ეს ხელნაწერი.

–რა ვქენი... რა ვქენი... სემ... საშინელება ჩავიდინე... მე... მე... მე მკვლელი ვარ! – ლინდა დასცქეროდა გამოსათხოვარ ბარათს და იძახდა.

– შენ???–არააა... დამშვიდდი... შენ არა ხარ მკვლელი... მეგობარო... შენ – არა..., – სემმა ოდნავ შესამჩნევად გააქნია თავი. ლინდას სიცოცხლის ნაპერწკლები ჩაუდგა თვალებში, – წამოდგა, ფურცელი დაკეცა და გაიტანა, –სამზარეულოში როცა შევიდა, სემმა უთხრა, –

–ყველაფერი მთავრდება მეგობარო...

– ბოლომდე... არაფერი... –უთხრა ლინდამ.

–ლინდა... ლინდა... ხომ გიყვარს სიცოცხლე?! – ჰკითხა სემმა. ლინდამ კი საკუთარი ახალი მელოდია წაიღიღინა მის გასაგონად – ტექსტით: გაზაფხულია.. ფოთლის შრიალი კვლავ ატკობს სმენას... ყველა მოელის ტკბილ აღტაცებას... მე კი არ ვიცი... არ ვიცი... მე რას... “–სემს ჩაეღიმა.

–ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, – უთხრა ლინდას და წამოდგა, წასასვლელად გაემზადა.

ჟოლოსფერი ფანტომი თითქმის გამქრალიყო ფანჯრის მინიდან. სრულდებოდა ათი საათი.

– ნეტავ ხვალ რას მეტყვის ლინდა? – მთავარია... მთავარია... –რაა მთავარი?! – ეკითხებოდა სემი თავს – შინ მიმავალი და აკვიატებით იმეორებდა, – Red Apple... Red Apple... ნუთუ ეს ყველაფერი დამთავრდა ?!

* * *

ავტორები

- ციური ახელედანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- გიორგი ბუცხრიკიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- მაია ჯიჯავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორანტი
- ნატალია სურგულაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
- ხათუნა წიკლაური** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
- ნატო თხილავა** – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, გერმანისტი, მთარგმნელი, მწერალი
- ლანა ფორჩხიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- ეკატერინე ძმანაშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
- მარინე ჯაში** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბეიბიტოვა** – ვერაზის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

Редколлегия журнала

- Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор
- Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор
- Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор
- Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, ассоциированный профессор
- Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор
- Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук
- Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)
- Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор
- Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)
- Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор
- Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, доктор филологических наук, профессор
- Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор
- Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков
- Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор
- Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Professor

Viola Purzeladze – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Ketevan Gabunia – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Direction in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of foreign languages, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Associated Professor

Georgi Kuparadze – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society